

# გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს!

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 7 მაისი, 2011 წელი.

№85 (6696)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## დიდი სამამულო...

④-⑤



მწველი მეხსიერება

როდის გავიგებთ, ბოლოს და ბოლოს, სამამულო ომში რეალურად დაღუპულთა რიცხვს?

## ილია II: აფხაზი ხალხი მიხვდება, თუ სად არის ჭეშმარიტება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა, რომ, აფხაზი ხალხი მიხვდება, თუ სად არის ჭეშმარიტება.

გუშინ ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს ქადაგებით მიმართა.

პატრიარქმა სრულიად საქართველოს წმინდა გიორგის დღესასწაული მიულოცა და წმინდა გიორგის ცხოვრება და წამების ისტორია გაიხსენება. უწმინდესმა აღნიშნა, რომ ტაძარში მობრძანებულია ილორის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ისტორიულია და თავის დროზე აფხაზეთში ილორის ტაძარს დადიანებმა შესწირეს. კათოლიკოს-პატრიარქმა ილორის წმინდა გიორგის ხატით დალოცა სრულიად საქართველო. უწმინდესმა ასევე ბრძანა, რომ ამ ხატით აქედან ლოცავს აფხაზებსაც.

– ღმერთმა მისცეს გზა ჭეშმარიტებისა აფხაზებს. გვჯერა, რომ აფხაზი ხალხი იმდენად ბრძენია და გონიერი, რომ მიხვდება, თუ სად არის ჭეშმარიტება და ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით, – ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა.

უწმინდესმა ბრძანა, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენ ამ ხატით ჩავალთ აფხაზეთში. ქადაგებისას პატრიარქმა აღნიშნა, რომ წმინდა გიორგი მუდამ ჩვენთან არის და საქართველოს ვერავითარი ხილული თუ უხილავი მტერი ვერ დაშლის და დააჩოქებს.

ინტერპრესი

② რომელ უწყებებს უჩივის სახალხო დამცველი?

რად ურჩევნიათ ღვინის გადასხმას ბენზინის ჩამოსხმა? ②

მოისყიდიან რუსები თურქებს ჩვენს წინააღმდეგ? ③

## როცა კანონს თვითონ კანონმდებლები თელავთ...

③

ღია წერილი-მიმართვა საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს



## ოპერატიული სამსახურები რუსეთის მხრიდან „რევოლუციონერი“ ოპოზიციონერების ხელით დარტყმას გორიდან ელიან ②



⑥ ტროცკი ჩერჩილმა მიწასთან ჯერ კიდევ მაშინ გაასწორა, როდესაც იგი სტალინს ხეირიანადაც არ იცნობდა



⑩ ქართული ფეხბურთის ლეგენდა

## წავიდა დიდი კაცი - სერგო კოტრიკაძე

ვარაუდი

# ოპერატიული სამსახურები რუსეთის მხრიდან „რევოლუციონერი“ ოპოზიციონერების ხელით დარტყმას გორიდან ელიან

**ოპერატიული სამსახურები რუსეთის მხრიდან „რევოლუციონერი“ ოპოზიციონერების ხელით დარტყმას გორიდან ელიან. ინფორმირებულმა წყარომ „პირველს“ ქვეყანაში არეულობის დაწყებისა და დაპირებული „რევოლუციის“ ხორცშესხმის იმ მოსალოდნელი სცენარის შესახებ უამბო, რომელიც მოსკოვში შემუშავდა და რომლის განხორციელების პრევენციისთვის საქართველოს შესაბამისი ორგანოები მუშაობენ.**



ქართული სპეცსამსახურების მონაცემებით, ქვეყანაში დაძაბულობის ესკალაციის ამ გეგმის ნაწილს გორი და „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის გამოჩენა წარმოადგენს.

„ეს მოვლენები თბილისიდან, რუსთაველის გამზირზე თუნდაც 10-15-ათასკაციანი გამოსვლებით უნდა დაიწყოს. ამ დროს გარკვეული ჯგუფების მიერ ინსპირირებულ ისეთ ქმედებებს ექნება ადგილი, რომელიც ძალოვანთა ჩარევას გამოიწვევს – იქნება ეს ვიტრინების მსხვრევა, მანქანებისა თუ საბურავების წვა, შეხლა-შემოხლა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მომიტინგეებსა და ძალოვანებს შორის შეტაკებამდე უნდა მივიდეს. სწორედ თბილისის ცენტრში დაწყებული არეულობებისა და ხელისუფლების მხრიდან მომიტინგეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენების ფონზე იგეგმება გორში ირაკლი ოქრუაშვილის გამოჩენა, რომელიც მშობლიურ ქალაქში ცხინვალის რეგიონიდან ჩავა. ამ გეგმის თანახმად, საუბარია გორში ოქრუაშვილის რამდენიმე ათეული თანმხლები პირით შესვლაზე და მათ მიერ რომელიმე ადმინისტრაციული შენობის დაკავებაზე, რაც ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი ძალისმიერი მოქმედებისკენ უბიძგებს. ამ კონფლიქტის კვალდაკვალ მოსალოდნელია უშუალოდ რუსული შეიარაღებული ძალების გააქტიურება და პროცესებში ჩართვა“ – განუცხადა „პირველს“ ინფორმირებულმა წყარომ, რომლის მონაცემებით, ოპერატიული სამსახურები შესაბამის წინასწარ ღონისძიებებს სწორედ ზემოაღნიშნული გეგმის გარშემო ახორციელებენ.

მან აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჯერჯერობით უცნობია, რამდენად მზადაა თავად ოქრუაშვილი, მოვლენების ასეთი სცენარით განვითარების მთავარი მონაწილე გახდეს და საბოლოოდ დათანხმდება თუ არა იგი რუსულ წინადადებას“.

„ქართული პარტიის“ ლიდერები ინფორმაციის წყაროს დასახელების გარეშე მისი კომენტირებისგან თავს იკავებენ.

„თუ ეს კონფიდენციალური წყაროები, მნიშვნელობა არ აქვს, ოპოზიციიდან არიან ისინი, თუ სახელისუფლებო წრეებიდან, შეძლებენ, იგივე ღიად განაცხადონ, მე მათ ღიადვე ვუპასუხებ“ – განუცხადა „პირველს“ ირაკლი ოქრუაშვილმა.

„პირველი“




ანგარიში

**გიორგი ტუღუშის 2010 წლის ანგარიში, რომელიც ადამიანის უფლებებს შეეხებოდა, არანაკლებ მწვავე აღმოჩნდა წინამორბედის დასკვნებთან შედარებით. ახალ ომბუდსმენს თითქმის იგივე პრობლემების აღნუსხვა მოუწია, რაზეც სოზარ სუბარი განსაკუთრებული სიმწვავით წერდა.**

**მომავალ კვირას პარლამენტში ანგარიშის აქტიური განხილვა უნდა დაიწყოს. საინტერესოა, რა აზრს გამოიტანენ დეპუტატები იმ ინფორმაციებისგან, რაზეც სახალხო დამცველი მიუთითებს, თუმცა ბევრი ვარაუდობს, რომ უმრავლესობა თვალს დახუჭავს.**

## რომელ უწყებებს უჩივის სახალხო დამცველი?

### გიორგი ტუღუშის 60 წერილი უპასუხოდ დარჩა

უამრავ საკითხს შორის ამჯერად გამოვყოფთ სახალხო დამცველთან სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის კუთხით არსებულ პრობლემებს. სამინისტროებთან პირველ ადგილს ამ მხრივ კალმახელიძის უწყება იკავებს. ანგარიშში ნათქვამია: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2010 წელს პენიტენციურ სისტემაში არსებული პატიმართა სიკვდილიანობის სპექტრი და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი შეისწავლა. ინფორმაციის წყარო იყო როგორც გეგმიური თუ არაგეგმიური ვიზიტები, ასევე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მიღებული კორესპონდენციები. ისევე, როგორც გასულ წლებში, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს საკითხის შესწავლისას გარკვეული შეფერხებები შეექმნა. გარდა დაგვიანებული პასუხებისა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო სრულყოფილად არ უპასუხებდა ჯგუფის მიერ გაგზავნილ მოთხოვნას.

**ომბუდსმენმა რამდენჯერმე მიმართა „სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ და გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების დამოწმებული ასლები მოითხოვა. წერილს თანდართული ჰქონდა გარდაცვლილთა სია. ბიუროს ეთხოვა, გადაემოწმებინათ და შეევსოთ ეს ნუსხა, თუმცა ბიურო მხოლოდ იმ დასკვნების ასლებს აგზავნიდა, რომლებიც სახალხო დამცველის ოფისის ჯგუფის სამუშაო სიაში იყო შეტანილი, ხოლო დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესახებ თავს იკავებდა.**

ომბუდსმენი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ ნაკლებად ეფექტიანი იყო სახალხო დამცველის ოფისსა და იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურორის თანამშრომლობა. უპასუხო და დაგვიანებული პასუხები გარკვეულ შეფერხებებს უქმნიდა აპარატს. მსგავსი პრობლემები ჰქონდათ თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობისას. კვლავ დიდ პრობლემად რჩება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ურთიერთობის პრობლემა. სახალხო დამცველის აპარატი ხშირად მიმართავს აღნიშნულ სამინისტროს როგორც ზოგადი ინფორმაციის მიღების მიზნით, ასევე კონკრეტული პირების განცხადების საფუძველზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში წერილები უპასუხოდ რჩება.

ამ უწყებების გარდა სახალხო დამცველის ჯგუფს პრობლემები ჰქონდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორებთან. ისინი გადაჭრით უარს ამბობდნენ ბავშვებთან კონფიდენციურ გასაუბრებაზე...

საბოლოო ჯამში, გასული წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის 60 წერილი აბსოლუტურად უპასუხოდ დარჩა. თითოეულ შემთხვევაში განმეორებითი წერილებიც გაიგზავნა, თუმცა უშედეგოდ.

ანგარიშის განხილვისას, სავარაუდოდ, დეპუტატები ამ ფაქტორზეც გაამახვილებენ ყურადღებას. საზოგადოებისთვის კი აქედანაც თვალნათელია, თუ რა პრობლემას წარმოადგენს საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. რიგით მოქალაქეებს აბსოლუტურად გადაულახავი დაბრკოლებები ხვდებათ ნებისმიერი მარტივი ინფორმაციის მიღებისას. ეს კი, დემოკრატიის თვალსაზრისით ნამდვილად აყენებს ჩრდილს ჩვენს ქვეყანას.

და, ალბათ, როცა ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლები სახალხო დამცველის ანგარიშზე სერიოზულ დებატებს გამართავენ პარლამენტის სხდომათა დარბაზში, კიდევ ერთხელ თვალნათლივ წამოტივტივდება მათი ადრინდელი მოთხოვნის სამართლიანობა, – ხათუნა კალმახელიძისა და კობა სუბელიანის თანამდებობიდან წასვლის შესახებ, რომელიც დღის წესრიგიდან არც მოხსნილა...

თეა მოსია

გამოკითხვა

## რად ურჩევნიათ ღვინის გადასხმას ბენზინის ჩამოსხმა?

**უმუშევრობის მაჩვენებლით საქართველო სამხრეთ კავკასიის უპირობო ლიდერია ოფიციალური სტატისტიკის მტკიცების მიუხედავად – შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში დაუსაქმებლობა, „გახიე-გაფხრიწე“, მაინც 20 პროცენტის ფარგლებშიაო. ყოველგვარი სტატისტიკური გამოკვლევისა და ანალიზის გარეშეც თვალნათლივ ჩანს, რომ უმუშევარია ჩვენი მოსახლეობის სულ მცირე სამი მეოთხედი მაინც. ამდენად, რა გასაკვირია, რომ, თუკი მათ დასაქმების საშუალებას მისცემენ, ზოგს სად ურჩევნია მუშაობა, ზოგს – სად.**

სწორედ ამ საკითხის გარკვევა გადაწყვიტეს Commersant.ge-ს ჟურნალისტებმა, რომლის საიტზე ერთი კვირის მანძილზე გვერდის სტუმრებს მხოლოდ ერთ კითხვას უსვამდნენ: **„ბიზნესის რომელ სფეროში ისურვებდით მუშაობას?“**

გამოკითხვის შედეგები ერთობ საგულისხმო გამოდგა, ამდენად, ვფიქრობთ, მათი გაცნობა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

**1. ნავთობის ბიზნესში – გამოკითხულთა 20,8 %;**

**2. კვების პროდუქტების წარმოებაში – 11,8 %;**

**3. საბანკო სფეროში – 11,2 %;**

**4. ტურიზმში – 11,0 %;**

**5. ვაჭრობაში – 10,1 %;**

**6. უძრავი ქონების სფეროში – 8,5 %;**

**7. სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროში – 8,2 %:**

**8. დაზღვევის სექტორში – 4,4 %;**

**9. ჯანდაცვის სფეროში – 3,0 %;**

**10. მეღვინეობის დარგში – 2,5 %;**

**დანარჩენი – 8,5 პროცენტი.**

მიღებული მონაცემები აზროვნების გარკვეულ ლოგიკას ასახავს: როცა ნავთობზე ფასთაცვლა მსოფლიოს ხან აციებს, ხანაც აცხელებს, საცალო ვაჭრობაში ნავთობპროდუქტების ფასი კი გამუდმებით მატულობს, არც უნდა იყოს გასაკვირი, რომ ხალხს გული ამ სფეროსკენ მიუწევს. თითქოს გასაკვირია ჩვენში ტრადიციული მეღვინეობისადმი მოსახლეობის ასე დაბალი ინტერესი, თუმცა, ალბათ, არ არის გასაოცარი, რადგანაც ღვინის ბიზნესში ბოლო წლების მანძილზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა, როცა საქართველომ პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზრის უდიდესი ნაწილი (კერძოდ, რუსეთის სახითძ დაკარგა, ევროპის, აზიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრებზე კი ცალი ფეხიც ხეირიანად ვერ შევდგით, დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა.

ირმა ირემაშვილი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ეს არის დემოკრატია?!

*ფაქტმა, რომელმაც კალამი ამაღებინა, ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენა. გურული პოლიკლინიკაში მივიდა და თვალ-ყურის ექიმი მოითხოვა. რამდენიც არ უმტკიცეს, ასეთი ექიმი არ არსებობსო, მაინც თავისაზე იდგა. ბოლოს დაინტერესდნენ, რად გინდა მაინცადამაინც თვალ-ყურის ექიმიო. — როგორც ჩანს, თვალსა და ყურს შუა ნერვი მაქვს დაზიანებული, რა სასიკეთო საქმეებსაც რადიოთი ვყურობ, იმათ გაკეთებულს ვერ ვხედავო.*

*თქვენ წარმოიდგინეთ, ლამის იმ ბერიკაცის დღეში ვარ ახლა: ხელისუფლება გამუდმებით კი გვიმტკიცებს, ჭეშმარიტი დემოკრატიის პირობებში ვცხოვრობთო, მაგრამ ამას რეალურად მუდამ ვერ ვხედავ!*


ა. ვაშაკიძის კარიკატურა

# როცა კანონს თვითონ კანონმდებლები თელავთ...

ფუქსიტყვაობა რომ არ გამომივიდეს და ზოგიერთმა, თუნდაც ჩვენმა ვარდოსანმა „კოლეგამ" დავით პაიჭაძემ რომ არ წამომაძახოს, რომელმაც, სხვათა შორის, ამ ორიოდე დღის წინათ „პირველი კავკასიურის" რუსულენოვან ტელეარხზე ოლეგ პამფილოვთან ინტერვიუში თურმე ბრძანა, დღევანდელი ქართული ოპოზიციური ჟურნალისტიკა მხოლოდ და მხოლოდ უფაქტებო ჟურნალისტიკააო **(ამაზე ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა მასალა)**, მარტო ერთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ღრმად ნიშანდობლივ კონკრეტულ ფაქტს დავასახელებ.

„საქართველოს რესპუბლიკამ" თავისი წლევანდელი 25 მარტის ნომერში გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი სათაურით — **„რატომ აზარალა თავისი ანგარებიანი გადაწყვეტილებით საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი მელაძემ სახელმწიფო ბიუჯეტი სულ მცირე თორმეტი მილიონი ლარით?"**

ეს მასალა რეაგირებისთვის გადავუგზავნეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, კონტროლის პალატას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს (მათგან მიღებულ თუ მიუღებელ პასუხებზე ცალკე წერილში ვიტყვით) და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უმაღლესი თანამდებობის პირს, ბატონ დავით ბაქრაძეს.

მისთვის გაგზავნილ წერილს ასე ვამთავრებდით: **„ვიცით, რაოდენ დატვირთული ბრძანდებით საქვეყნო საქმეებით და, ამის გათვალისწინებით, ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, რისი უფლებაც, გვერწმუნეთ, თავს მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციაში აღძრული საკითხის მნიშვნელობის გამო მივეცით".**

ეს წერილი გაზეთის იმ ნომერთან ერთად, რომელშიც გამოქვეყნებული იყო აღნიშნული მასალა, საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგისტრაციისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილებას 5 აპრილს ჩავაბარეთ **(ამის დამადასტურებელი ბლანკის ფოტოპირს აქვე ვაქვეყნებთ)** და მოთმინებით დაველოდეთ პასუხს იმ ვადაში, რომელიც, ცხადია, თავად თქვენ მიერ, პარლამენტართა მიერ მიღებული კანონით არის განსაზღვრული.

მართლაც, ნეტარ არიან მორწმუნენი...


საქართველოს პარლამენტის აპარატი
რეგისტრაციისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილება
შემოს.№ 3977
05. 04. 2011წ. ფურც
მისაღების ტ. 281308

მას მერე, რაც წერილის ჩაბარებიდან ათი დღეც გავიდა, ორი კვირაც და ლამის თვეც, ერთი კვირის წინათ, 29 აპრილს, დავრეკეთ ბლანკზე აღნიშნულ ნომერზე (281308ძ.

ველაპარაკეთ. კონკრეტული ვერაფერი გვითხრეს. მერე ჩვენი ნომერი ჩაიწერეს და, დაგიკავშირდებიანო, ისეთი შეუვალი ტონით გვითხრეს, ვერანაირი კითხვის დასმას ვერ შებედავდი ადამიანი.

ვერც ამ დაპირებამ გახადა ჩვენი მოლოდინი ვაჟას მთებივით უსაზღვრო და თავს უფლება მივეცით, წერილის ჩაბარებიდან ერთ თვეზე მეტი ხნის მანძილზე უშედეგო ლოდინის შემდეგ უკვე გაზეთით შემოგხმიანებოდით, ბატონო პარლამენტარებო.

მოგეხსენებათ, რაოდენ მნიშვნელოვანია პრესისთვის ოპერატიულობა საერთოდ და, მით უფრო, მოვლენათა ლამის კალეიდოსკოპური სიჩქარით ცვალებად დღევანდელობაში. თუნდაც ამის გათვალისწინებით, გაზეთისთვის აუცილებელი ინფორმაციის დიდი დაგვიანებით მიღება, არაფერს ვამბობ მისთვის ამ მხრივ ხელოვნური ბარიერების შექმნასა და, მით უფრო, საინფორმაციო წყაროს ლამის საერთოდ დახშობაზე, უაღრესად დამაბრკოლებელი ფაქტორია.

**მაგრამ ამჟამად, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, იმდენად ჩვენი პრობლემა თუ, საერთოდ, პრესისადმი შეურაცხმყოფელი უპატივცემლო დამოკიდებულება კი არ მალაპარაკებს, რამდენადაც მრავალი ფაქტით დამტკიცებულ-განმტკიცებული დამთრგუნველი შეგრძნება იმ სავალალო ვითარებისა, რომ თავად კანონმდებლები ფეხქვეშ თელავთ თქვენ მიერვე მიღებულ კანონებს.**

**„ჩვენში კანონი ყველასთვის მხოლოდ ერთია და ამიტომაც... ამიტომაც არ ჰყოფნის ყველას"...** ამბობს მართლაც კარგი შემოქმედი და კიდევ უკეთესი მოქალაქე და პატრიოტი რაულ ჩილაჩავა თავის ერთ კარგ ლექსში.


გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"
ГАЗЕТА „Сакартвелос Республика"
THE NEWSPAPER „Sakartvelos Respublika"
№ 1/17
2011 წ.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
დავით ბაქრაძეს
ბატონო დავით,

## ღია წერილი-მიმართვა საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს

**მოდით, დროებით მაინც დავეთანხმოთ პოეტს სინამდვილის ამ მეტაფორულ აღქმაში და შევთანხმდეთ: რაკი თქვენს მიერ მიღებული კანონები ყველასათვის საკმარისი არ არის, უფალო პარლამენტარებო, გამოეცით ისინი თითო ეგზემპლარად, დაიზუთხეთ და... მერე ფეხქვეშ კი ნუ გაიდებთ, განუხრელად შეასრულეთ მათი მოთხოვნები!**

**ანუ თავად გვიჩვენეთ კანონმორჩილების, მხოლოდ კანონის მოთხოვნათა მიხედვით ცხოვრება-საქმიანობის კონკრეტული ყოველდღიური მაგალითები!**

განა მარტო ცუდი მაგალითია გადამდები!

ესეც არ იყოს, თქვენ, პარლამენტარები, ხომ ჩვენი საზოგადოების ელიტარული ნაწილის (ასე არ ბრძანა თქვენზე და პარლამენტის სხდომათა დარბაზში მსხდომ სხვა პოლიტიკოსებზეც ბატონმა პრეზიდენტმა, — მთელი პოლიტიკური ელიტა ახლა ამ დარბაზშიაო?!ძ წარმომადგენლები, ანუ საზოგადოების მეწინავენი ბრძანდებით?

**წინა კაცი კი უკანისა ხიდიაო, ნათქვამია.**

თუმცა დღევანდელობის ბევრი უკანონობა-განუკითხაობის შემყურე ერთმა ენაკვიმატმა ამ ფრთიან ფრაზას ასეთი გაგრძელება გამოუძებნა: **წინა კაცსა უკანა კაცი სულ ფეხებზე ჰკიდიაო!**

**თქვენც, მეწინავენი, ასე ფიქრობთ, ასე აფასებთ თქვენ უკან მდგომებს? ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჟურნალისტებს?**

არ გვითხრათ ახლა, როგორ გეკადრებათ, ჩვენ ჟურნალისტებს ძალიან ვაფასებთ, პრესა ჩვენთან თავისუფალიაო!

**თუ მართლა ასეა, რითი ჩანს და გამოიხატება თქვენ მიერ ჟურნალისტთა დაფასება-პატივისცემა?** მათი პუბლიკაციებისა თუ პირადი წერილების სრული უგულებელყოფით (თუმცა, ამას ვინ ჩივის, როდესაც თქვენს მიერვე მიღებულ კანონებს თავადვე არ ასრულებთ!ძ?

**ან, ამის გათვალისწინებით, თქვენ მიერ დეკლარირებული პრესის თავისუფლება რას ნიშნავს და გულისხმობს?**

თავისუფალი გიჟიაო, უთქვამს ხალხს.

**თქვენც, თუ ყველას არა, ზოგიერთებს მაინც, უფალო პარლამენტარებო, ასე მიგაჩნიათ პრესის თავისუფლება და ამგვარად გვაფასებთ ჟურნალისტებს?**

მაშინ, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ თუნდაც ამ ზოგიერთებმა ზოგჯერ საკუთარ საამბაზანოში მაინც ყურადღებით და თვითკრიტიკულად ჩაიხედეთ სარკეში (იქ ხომ ვერავინ დაგინახავთძ!

იქნებ ძალიან მკვახედ გამომივიდა ნათქვამი და, თქვენი აზრით, შესაძლოა, ერთგვარად დაუკრეფავშიც გადავედი, მაგრამ რა ვქნა, უკანონობასა და კანონისადმი უპატივცემლობას ვერ ვიტან!

**ეს არის მთავარი, თორემ მე, მერწმუნეთ, ზოგიერთი თქვენგანისგან, როგორც იმ ერთი არსებისგან, წიხლიც არ გამიკვირდება და არ მეწყინება** (თუმცა იმ შესაძლო „ზოგიერთს" მინდა შევახსენო ეპიზოდი-გაფრთხილება „ნატვრის ხიდან" — **არ გაულაწუნო, მამაო, შემობრუნება იცისო!)!**

ასე რომ, ველით თქვენს კონკრეტულ საქმიან პასუხს და, რაც მთავარია, თქვენს მიერვე მიღებული კანონების თქვენგანვე პატივისცემას!

**რუსლან რუსია**

**P. S. თუ ჩვენი პატივცემული „კოლეგა" დავით პაიჭაძე და ზოგიერთი სხვა შესაძლო ოპონენტიც საკმარისად არ მიიჩნევენ ამ ზემოაღნიშნულ კონკრეტულ ფაქტს, მათ მინდა ვთხოვო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული კიდევ ერთი მასალის „არ ვარ, ბატონო, მე ის კაცი?!." — წაკითხვა, რომელშიც სავსებით სამართლიანი გაკვირვება და კრიტიკაა გამოთქმული იმის გამო, რომ არ სრულდება საქართველოს პარლამენტის მიერ შარშანდელი წლის მიწურულს კანონში შეტანილი ცვლილებების მოთხოვნები!**

**ეს არის დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ბატონო კანონმდებლებო!?.**

**რ. რ.**

## ინფორმაცია

# მოისყიდიან რუსები თურქებს?

**პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის სამხედრო პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, პოლკოვნიკი ანატოლი ციგანოკი აცხადებს, რომ ყველაზე ლოგიკური იქნება, თუკი რუსეთი სომხეთში არსებულ სამხედრო ბაზაზე სამხედრო ტექნიკასა და პირად შემადგენლობას თურქეთის ან ირანის მხრიდან შეიყვანს.**

**იგი აცხადებს, რომ თურქეთმა, რომელიც სინამდვილეში „თავად უბიძგებს საქართველოს, რუსეთთან ურთიერთობები გააფუჭოს" შესაძლოა, თანხმობა განაცხადოს რუსეთისათვის თავისი ტერიტორიის დათმობაზე სომხეთში ტრანზიტის განსახორციელებლად.**

**ამასთან ერთად, ციგანოკი ასევე აცხადებს, რომ თურქეთის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ამ ქვეყანას საშუალებას მისცემს, აკონტროლოს ეს პროცესი და ასევე საჭიროების შემთხვევაში ეს გზა დაბლოკოს. თუმცა, ექსპერტის შეფასებით, თურქეთი არის ერთადერთი გზა, რომელიც საშუალებას არ მისცემს ამერიკულ სამხედრო-საჰაერო ძალებს, თავიანთი საქმიანობა გაშალონ შავი ზღვის აუზში.**

**კითხვაზე პასუხის გაცემისას, თუ რა შეიძლება თურქეთმა რუსეთისათვის ტერიტორიის დათმობის სანაცვლოდ მოითხოვოს, ექსპერტი აცხადებს, რომ: „თურქეთი ისწრაფვის, თავისი როლი გააძლიეროს რეგიონალურ საკითხებში. ასევე შეიძლება თურქეთმა მოითხოვოს გათხევადებული გაზის ქარხნის აშენება, ვინაიდან ამ საკითხის განხილვა უკვე რვა წელიწადია რაც მიმდინარეობს", — აცხადებს ანატოლი ციგანოკი.**

ხო-ეიბ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# მწველი მეხსიერება

## როდის გავიგებთ, ბოლოს და ბოლოს, სამამულო ომში რეალურად დაღუპულთა რიცხვს?

*„არავინ და არაფერია დავიწყებული", – ყოველწლიურად გამარჯვების დღეს არწმუნებენ ხალხს თანამდებობის პირები. ეს სიცრუეა! დავიწყებულია დიდ სამამულო ომში დაღუპული მილიონობით ჯარისკაცი. დავიწყებული შეგნებულად, ამოშლილი ისტორიიდან, რათა არ გააფუჭონ „მაჩვენებლები".*

### აღრიცხვის ოსტატები

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფის სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა ალექსანდრ კირილინმა 2010 წლის 5 მაისს სააგენტო რია ნოვოსტის საშუალებით ქვეყანას აუწყა, რომ, დაზუსტებული მონაცემებით, დიდი სამამულო ომის დროს სსრ კავშირის ხალხის დანაკარგებმა 26,6 მილიონი კაცი შეადგინა. მათ შორის საბჭოთა სამხედრო ძალების დანაკარგებმა – დაახლოებით 8,6 მილიონი კაცი.

გაურკვეველია, რა და როგორ დააზუსტეს ხსოვნის უკვდავყოფის სამმართველოში, მაგრამ ეს ცნობები ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის უკვე რამდენიმე ათეული წელია.

ჯერ კიდევ 1988 წლის დეკემბერში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნა წერილი „საბჭოთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დანაკარგების შესახებ 1941-1945 წლების სამამულო ომში", წინადადებით გამოექვეყნებინათ ღია პრესაში მონაცემები ხალხის დანაკარგების ოდენობის შესახებ. სულ რაღაც 43 წლის შემდეგ დაფიქრდნენ იმაზე, რომ როგორმე ეცნობებინათ საბჭოთა ხალხისთვის, თუ რა დაუჯდათ მას ეს გამარჯვება.

მაგრამ ცენტრალური კომუნისტური ორგანო დაიბნა და თავდაპირველად არაფერი უპასუხა. გამოფხიზლდა 1989 წლის მარტისთვის და დაადგინა, სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეექმნათ ომის წლებში სსრ კავშირის ხალხის დანაკარგების რაოდენობის გამოკვლევის დროებითი სამეცნიერო კოლექტივი.

შეკრიბეს ძლიერი კოლექტივი გონიერი ადამიანების შემადგენლობით სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტიდან, მეცნიერებათა აკადემიიდან, თავდაცვის სამინისტროდან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოდან, ომის ვეტერანთა კომიტეტიდან, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების კავშირიდან.

დიდხანს ამოწმებდნენ, აზუსტებდნენ, ახდენდნენ კორექტირებას და მივიდნენ ზემოაღნიშნულ ციფრებთან და მათი განაწილების სისტემასთან. გადაწყვიტეს, რომ დემოგრაფიული ბალანსის მეთოდით საბჭოთა კავშირის ხალხთა დანაკარგი დიდი სამამულო ომის დროს უნდა შევაფასოთ 27 მილიონ კაცად, მათ შორის შეიარაღებული ძალების დანაკარგები – 8,7 კაცად. ამის შესახებ აცნობა კიდეც მოქალაქეებს სსრ კავშირის პირველმა პრეზიდენტმა გამარჯვების 45 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. მის შემდეგ ეს სიცრუე გაიმეორეს საგარეო საქმეთა მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა.

უფრო მეტიც – გულმოდგინე მკვლევარებმა დაიანგარიშეს მოკლულები და ჭრილობებით გარდაცვლილი ადამიანების ოდენობა ევაკუაციის ეტაპებზე და ჰოსპიტლებში – 6,329 მილიონი კაცი. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულები??? ისინი, ვინც უგზოუკვლოდ დაიკარგა – 4,55, მილიონი კაცი და ნახევარ მილიონზე მეტი დაღუპული შემთხვევების, უბედური შემთხვევების და ავადმყოფობათა შედეგად.

ომიდან 60 წლის შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ისტორიული დემოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იური პოლიაკოვი გაზეთ „იზვესტიისთვის" 2005 წლის 5 მაისს მიცემულ ინტერვიუში კვლავ დაბეჯითებით აცხადებს, რომ 26-27 მილიონი დაღუპულიდან 8,6 მილიონი – მოქმედი არმიის დანაკარგია, დანარჩენი – მშვიდობიანი მოსახლეობა. თითქოსდა ეს ციფრები დასაბუთებული იყო, მიღებული დოკუმენტის საფუძველზე ან გამოთვლილი აღიარებული მეთოდიკების შესაბამისად.

არც დიდი მეცნიერი, არც ფართო საზოგადოება არ დაინტერესებულა ელემენტარული შეკითხვით – როგორ მოხდა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა აუნაზღაურებელი დანაკარგი ორჯერ და კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე სამოქალაქო, მშვიდობიანი მოქალაქეებისა.

„მოანგარიშეთა" ლოგიკით გამოდიოდა, რომ მტრის კბილებამდე შეიარაღებული რამდენიმე მილიონიანი არმია, 4 წლის განმავლობაში ათასობით ტონა ჭურვს და ბომბს რომ უშენდა საბჭოთა ჯარებს, ქმნიდა ტყვიების წვიმებს, „დაუნდობლობაში" ჩამორჩებოდა პოლიციას, ჟანდარმერიას, დამსჯელებს, რომელთა რაოდენობაც არმიის ნაწილებზე ნაკლები იყო.

ოკუპაცია კი გრძელდებოდა წელიწადი და უფრო ნაკლებიც. მკვლელობის იარაღიც პოლიციელებსა და დამსჯელებს არც ისე ბევრი ჰქონიათ. და თავად იარაღიც არც ისე გამანადგურებელი იყო.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევაკუაციის შემდეგ რჩებოდა 65 მილიონი კაცი. ესე იგი უნდა დაგვარწმუნონ, რომ იქ სულ ცოტა ყოველ მეოთხე ადამიანს კლავდნენ.

სიმკაცრით, ხანგრძლივობით, სისხლისღვრით მსგავსი ომი მიმდინარეობდა ოკუპირებული იუგოსლავიის ტერიტორიაზე. მაგრამ ომისშემდგომი იუგოსლავიის რეჟიმის გაზრდილი მონაცემებითაც კი იქ დაიღუპა ყოველი მეცხრე როგორც მშვიდობიანი მცხოვრები, ისე მეომარიც. ახლა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ იუგოსლავიაში დაიღუპა ყოველი მეთერთმეტე მცხოვრები, და დაახლოებით თანაბრად – მშვიდობიანი მოქალაქე და სამხედრო, თანაც სამხედროების რიცხვში შეჰყავდათ ყველა ისინი, ვინც იბრძოდა ამა თუ იმ მხარეზე, მხარეები კი ძალიან ბევრი იყო. ომის ბოლოს გამარჯვებულთა ხელით იღუპებოდა ასობით ათასი ტყვედ ჩავარდნილი, ინტერნირებული. მშვიდობიანი მცხოვრებლები იღუპებოდნენ ეთნიკური წმენდის ჯოჯოხეთში, თავს რომ დაატყდა ოკუპანტების მიერ ნაწილებად დაყოფილ იუგოსლავიას დამსჯელთა ხელით. ვერავინ იტყვის, რომ იუგოსლავიაში არ იდგა სისხლის მდინარეები. ქვეყანა მთლიანად იქნა გაძარცვული. და მაინც – მშვიდობიანი მოსახლეობიდან დაიღუპა ყოველი მეოცე. მაგრამ ყოველი მეოთხე?!

მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის მასობრივ დაღუპვას იმ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალი იყო ოკუპაციისაგან, ადგილი ჰქონდა რამდენიმე ქალაქში, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ საბრძოლო მოქმედებების ზონაში. მთლიანად ამ მსხვერპლმა შეადგინა დაახლოებით 1 მილიონი კაცი. ლენინგრადში ბლოკადის დროს დაბომბვებისა და საარტილერიო ცეცხლისგან დაიღუპა 16747 კაცი, 33 782 დაიჭრა, 641 ათასი შიმშილით დაიხოცა, ძირითადად 1941-1942 წლების ზამთარში. სტალინგრადში 1942 წლის აგვისტოში მტრის ავიაციის შემოჭრის დროს დაიღუპა 40 ათასი მშვიდობიანი მოსახლე. რამდენიმე ათეული ათასი კაცი დაიღუპა უკვე გააფთრებული ბრძოლების დროს თავად ქალაქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულებით შექმნილმა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა დადგენისა და გამოკვლევის საგანგებო სახელმწიფო კომისიამ სსრ კავშირის მშვიდობიან მოსახლეობას შორის დანაკარგები განსაზღვრა 6,39 მილიონი კაცის ოდენობით. ეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა დაახლოებით ყოველ მეათეს შეესაბამება. თუმცა იმ დაანგარიშებათა სიზუსტეზე საუბარი რთულია. მაგრამ დაანგარიშების წესი შეიძლება განსაზღვრო. კომისია მუშაობდა მასობრივი დაკარგვების ადგილებში, აწარმოებდა ამოთხრებს. აწყობდა ოკუპანტების მხეცობის თვითმხილველთა დაკითხვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოკლულთა და გარდაცვლილთა რიცხვში საკმაოდ ბევრი იყო სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც, გადაადგილებულები ფაშისტების მიერ გასანადგურებლად, უწინარეს ყოვლისა ებრაელები. კერძოდ, ბელარუსში.

ნიურნბერგის საბრალდებო დასკვნაში მითითებული იყო, რომ საბჭოთა კავშირიდან გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ გერმანიაში გაგზავნა 4,978 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე.

იმის შესახებ, თუ რამდენი დაიხოცა განდევნილთაგან, რამდენმა თქვა უარი დაბრუნებაზე – დღემდე მიდის დავები. განდევნილთაგან დაღუპულთა შემოთავაზებული ოდენობა – 2,2 მილიონი კაცი – სრულიად წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

ასეა თუ ისე, 18 მილიონ დაღუპულ ადამიანზე მშვიდობიან მცხოვრებთა შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საბრძოლო მოქმედებათა ზონაში საუბარიც კი ზედმეტია.

### 18,5 მილიონის დემოგრაფიული დისბალანსი

1941 წლის დასაწყისში ქვეყანაში 15-დან 50 წლამდე მამაკაცი 49 მილიონი იყო.

1959 წლის აღწერის თანახმად, ყველაზე მეტი დანაკარგი გამოვლინდა იმ მამაკაცთა შორის, ვინც ომის დაწყების დროს 17-დან 31 წლამდე იყო მთელს ქვეყანაში.

1891-1926 წლებში დაბადებულ მამაკაცთა შორის ბუნებრივმა კლებამ, დემოგრაფების დაანგარიშებით, 12 მილიონი კაცი შეადგინა. არაბუნებრივმა – 17 მილიონი კაცი. მაგრამ აუცილებელია გავიხსენოთ დაახლოებით 2,8 მილიონი კაცი, რომლებიც დაიბადნენ 1927 და 1928 წლებში (1943 წლიდან ჩვიდმეტწლიანებსაც იწვევდნენძ. მათგან 1,4 მილიონი შეიძლება დაღუპულიყო. ასე რომ, გასაწვევი ასაკის მამაკაცების არაბუნებრივმა კლებამ ომის დროს სულ ცოტა 18,4 მილიონი შეადგინა.

1959 წლის აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ მამაკაცები, ვინც 1945 წელს 16-დან 45 წლამდე იყო, იმავე ასაკის ქალებზე 17,35 მილიონით ნაკლები იყო. მთლიანად მამაკაცები, რომლებიც ასაკის გამო შეიძლებოდა ომში გაეწვიათ, 1959 წელს აღმოჩნდა თითქმის 20 მილიონით ნაკლები იმავე ასაკის ქალებზე (1937 წელს აღწერის მასალების მიხედვით დადგინდა, რომ 8-33 წლის კონტინგენტში ქალებმა მამაკაცებს 3798 ათასით გადააჭარბესძ.

საინტერესოა, როგორ შეიძლება ამ ფაქტის ახსნა, როდესაც ამტკიცებენ, რომ ომში დაიღუპა 8,66 მილიონი კაცი, ძირითადად მამაკაცები? მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობილია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძირითადად იღუპებოდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები.:

### თუ უკეთესად დავიანგარიშებთ

სამხედრო სტატისტიკოსებს წამოცდებათ ხოლმე, რომ სამხედრო კომისარიატების იმ უწყებათა აღრიცხვის წიგნებში, რომლებიც შემოსულია ჯარებიდან ან პერსონალური აღრიცხვის სამმართველოდან, დაღუპული, გარდაცვლილი და უგზოუკვლოდ დაკარგულების ნათესავებისათვის გადასაცემად, დარეგისტრირებულია 12,4 მილიონი ცნობა. 4 მილიონ „დანაკლისს" ხსნიან იმით, რომ აღრიცხვის წიგნებში რეგისტრირებულია ყველა ცნობა, მათ შორის ისინიც, რომლებიც შემოსულია მახლობლებისა და ნათესავების მოთხოვნებითაც, ვინც იყო პარტიზანულ შენაერთებში, ქალაქებისა და რაიონების გამანადგურებელ ბატალიონებში, რომელთა შესახებაც ცნობები გენერალურ შტაბში არ იგზავნებოდა.

სულ სახალხო მოლაშქრეების დივიზიებსა და პოლკებში შევიდა 4 მილიონი კაცი. ესენი იყვნენ მოუმზადებელი ჯარისკაცები, რომელთაგანაც ბევრს ჰქონდა მშვიდობიანი პროფესია, ომში მიდიოდა ზოგჯერ უიარაღოდაც კი და სამოქალაქო ტანსაცმლით. დანაკარგები მათ შორის დაღუპულებისა და ტყვეების სახით განსაკუთრებით დიდი იყო. სახალხო მოლაშქრეთა ოთხი დივიზია მთლიანად გაანადგურეს ლენინგრადის მისადგომებთან ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბლოკადა დაიწყებოდა. დარჩენილი დაახლოებით 2 მილიონი მოქმედ არმიაში შევიდა.

პოდოლსკში, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში ინახება დაღუპული ჯარისკაცების და ოფიცრების პერსონალური ბარათები. 2005 წლის მაისისთვის მათი ოდენობა 15 მილიონი იყო. სახელების ნაწილი დაადგინეს 1948-1949 წლებში სამხედრო კომისარიატების მიერ მოწყობილი გამოკითხვის დროს. პერსონალური დანაკარგების შემაჯამებელი კარტოთეკის დამუშავებამ ისტორიკოსების (და არა სტატისტიკოსების!ძ მიერ მოგვცა დაღუპულთა ციფრი – 13,85 მილიონი. ეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფისთვის სამმართველოს უფროსის მონაცემებთან შედარებით 5 მილიონით ნაკლებია.

თუ 13,85 მილიონს, რომელიც დაიანგარიშა პოდოლსკის არქივმა, დავუმატებთ სახალხო ლაშქრების დანაკარგებს და 250 ათას დაღუპულ პარტიზანს, მივიღებთ დაახლოებით 15 მილიონ კაცს. უკვე თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე სტატისტიკოსებმა დაიანგარიშეს.

არადა კიდევ 3,5 მილიონი კაცი დაიღუპა ტყვეობაში. არაადამიანურ, ზღვარსგადაცილებული წამების პირობებში. ალფრედ როზენბერგიც კი 1942 წლის 28 თებერვალს ვილჰელმ კეიტელისადმი გაგზავნილ წერილში იტყობინებოდა, რომ საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბედი უზარმაზარი მასშტაბის ტრაგედიად იქცაო.

ტყვეების უმეტესი ნაწილი შიმშილით, სიცივით, მუცლის ტიფით დაიხოცა. 1944 წლის 1 მაისისთვის ბანაკებში 1,981 მილიონი კაცი მოკვდა. 1,03 მილიონი მოკლეს „გაქცევის მცდელობის დროს", გადაეცა გესტაპოს „ლიკვიდაციისთვის". 280 ათასი კაცი დაიღუპა გადასაგზავნ ბანაკებში. ეს – 3,291 მილიონი კაცია.

18,5 მილიონი დაღუპული, გარდაცვლილი, უგზოუკვლოდ დაკარგული საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე შე-



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

იძლება მივიღოთ, როგორც მეტად უხეში შეფასება.

### გაიწვიეს ყოველი მეხუთე. დაიღუპა ყოველი მეათე

1945 წლის 1 ივნისის მონაცემებით, ცნობილია დაახლოებით 22,5 მილიონი კაცი, რომლებიც გაიწვიეს და არ დაღუპულან. ესენი იყვნენ გაწვეული შეიარაღებულ ძალებში, მკურნალობდნენ ჰოსპიტლებში, გაათავისუფლეს ავადმყოფობის, ჭრილობების, ინვალიდობის გამო, გადაყვანილი სამუშაოდ სახალხო მეურნეობაში, სხვა უწყებების სამხედრო ნაწილებში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ნაწილებში და შენაერთებში. დეზერტირები, ტყვეები, რომელთა რეპატრიაციაც მოხდა 1945 წლის ივლისისათვის. ვინც ტყვეობიდან სახლში დაბრუნება არ ისურვა.

თუ ცოცხლად დარჩენილებს შევაჯამებთ დაღუპულებთან და გარდაცვლილებთან, მივიღებთ, რომ ომში მონაწილეობდა არანაკლებ 41 მილიონი კაცი, ძირითადად მამაკაცები (ქალი-სამხედრო მოსამსახურეები გაიწვიეს 490 ათასიძ. სამხედრო სამსახურში გაწვეული სსრ კავშირის მოქალაქეთა საერთო რიცხოვნობა 34 401 800 კაცია. სხვაობა თითქმის 6,6 მილიონი კაცია.

სამხედრო სტატისტიკოსები ამტკიცებენ, რომ ომის პირველი 8 თვის განმავლობაში გაიწვიეს 11 მილიონი კაცი, რომელთაგანაც 9 მილიონზე მეტი გაიგზავნა როგორც ახლად ჩამოყალიბებულ, ისე არსებულ ნაწილებში.

სხვა წყაროებით, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 11 აგვისტოს დადგენილების გათვალისწინებით, თავდაცვის სახალხო კომისარიატს მობილიზაციის შემდეგ გადაეგზავნა 14 მილიონი კაცი სამობილიზაციო რესურსის 20 მილიონიდან.

ომის დასაწყისში, მალე პირველი ეშელონის ჯარების განადგურებიდან, რომელიც უპირატესად დაკომპლექტებული იყო პროფესიული კადრებით, წითელ არმიაში დაიწყო წვევამდელების მასობრივი შემოდინება ზურგის რაიონებიდან, რომელთა საბრძოლო მომზადება პირობითი იყო. სიჩქარეში დაკომპლექტებული, ცუ-

> **მოკლულებისა და გარდაცვლილების საბრძოლო დანაკარგების სიდიდეს უნდა ვითვლიდეთ არა 8,66 მილიონით, როგორც დაბეჯითებით გვირჩევენ, არამედ, სულ ცოტა – 18,5 მილიონით.**

დად აღჭურვილი ეს ნაწილები ფაქტობრივად თავიდანვე იყვნენ განწირული დაღუპვისთვის, რასაც კარგად ათვითცნობიერებდნენ სამხედრო სპეციალისტები. წითელი არმიის საბრძოლო მომზადების მე-4 ცალკე სამმართველოს განყოფილების უფროსი, ბრიგადის მეთაური ფედოროვი მეთაურებთან საუბარში ომის უკვე პირველ დღეს აკეთებდა პროგნოზს: „სად გვცალია ახლა მომზადებისთვის... ახლა უნდა ვძლიოთ მასობრიობით – ხალხით, ანდა ღირს კი კარგად სწავლა, თუ ბრძოლაში დივიზიას დივიზიაზე გადმოისვრიან, სანამ არ შევაჩერებთ გერმანელთა შემოტევას“.

ახალი ნაწილებისა და შენაერთების ფორმირებას ახორციელებდა წითელი არმიის ყველა მთავარი სამმართველო დამოუკიდებლად. მთავარი სამმართველოების უფროსები თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეები იყვნენ, თავად საზღვრავდნენ გაერთიანებათა ოდენობას, წარადგენდნენ დასამტკიცებლად და გამოსცემდნენ ბრძანებებსა და დირექტივებს ახალ ფორმირებათა და მათი დაკომპლექტების შესახებ ხალხის რესურსების სრული გაუთვალისწინებლობით. უკვე აგვისტოში სრულად იქნა გამოყენებული მობილიზაციით გათვალისწინებული ყველა ასაკი (1918-1925 წლებში დაბადებულებიძ – ეს 10 მილიონი კაცი იყო!

სამხედრო ვალდებულთა გაწვევისა და მათი ჯარის ნაწილებში გაგზავნის სამუშაოს დაგეგმვა არ არსებობდა. რესურსების გაწვევა დაქვემდებარებული იყო მხოლოდ ახალი ნაწილებისა და შენაერთების ფორმირებაზე და ფრონტების განცხადებაზე აუცილებელი შევსებისათვის განცდილ დანაკარგებთან დაკავშირებით.

ომის პირველ თვეში გაწვეული იყვნენ 14 ასაკის სამხედრო ვალდებულნი. 1 აგვისტოს გამოცხადდა 17 ასაკის მობილიზაცია (1890-1904 და 1922-1923 წლებში დაბადებულებიძ.

ქვეყნის დასავლეთი ოლქების დაკარგვასთან დაკავშირებით დაიკარგა სამხედრო ვალდებულთა სამობილიზაციო რესურსების ნაწილი.

სამხედრო სტატისტიკის მონაცემებით, რსფს რესპუბლიკაში გაიწვიეს მთელი მოსახლეობის 19,1 პროცენტი, საკადრო შემადგენლობის გათვალისწინებით – 22,7 პროცენტი. უკრაინაში – 12,5 და შესაბამისად – 15 პროცენტი, ბელარუსში – 12 და 14 პროცენტი, შუა აზიის რესპუბლიკებში – 17 და 20 პროცენტი.

ა. კოჭურინის ცნობით სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხოვნობა 1941 წლის 1 იანვრისთვის იყო 198, 17 მილიონი კაცი.

გამოდის, რომ სსრ კავშირში მობილიზებული იქნა ყოველი მეხუთე. დაიღუპა და უგზოუკვლოდ დაიკარგა ომამდე ქვეყნის მოსახლეობის ყოველი მეათე კაცი. ესე იგი ყოველი მეორე, ვინც ფარაჯა ჩაიცვა, შინ არ დაბრუნებულა.

1943- 945 წლების განმავლობაში უკრაინიდან არმიაში გაიწვიეს დაახლოებით 4,5 მილიონი კაცი, უკრაინაში მობილიზებულთა საერთო რიცხვმა შეადგინა 7,5 მილიონი კაცი, ანუ მოსახლეობის ომისწინა ოდენობის – 41,39 მილიონი კაცის – 18 პროცენტი. ოფიციალური 15 პროცენტის ნაცვლად.

საქართველოდან გაიწვიეს 700 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 19 პროცენტი. მათგან 300 ათასი კაცი დაიღუპა.

ადამიანების დანაკარგების ანალიზის დროს ასევე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ წითელ არმიაში ყველა კომუნისტის 60 პროცენტი იმყოფებოდა. ომის დაწყების დროისთვის სკპ (ბძ რიგებში 3 მილიონ 800 ათასი პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი იყო. ომის დროს პარტიაში შევიდა 5 მილიონ 300 ათასზე მეტი კაცი.

დაიღუპა 3 მილიონზე მეტი კომუნისტი, არმიაში მყოფი ყოველი მეორე.



### სახელმწიფო სიცრუე

ამრიგად, სამხედრო სტატისტიკოსების მტკიცებანი მეომრების დაკარგვის შესახებ დიდ სამამულო ომში ეწინააღმდეგება როგორც ჯანსაღ აზრს, ისე დემოგრაფიულ გაანგარიშებებს, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – ხსოვნის წიგნებს, რომლებიც მრავალმა და მრავალმა ენთუზიაზისტმა შექმნა.

ჯანსაღი აზრს არ შეესაბამება მტკიცება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყოველი მეოთხე მცხოვრების დაღუპვის შესახებ.

სსრ კავშირის მოსახლების აღწერამ 1959 წელს დაადგინა, რომ მამაკაცები ომის დროს იყვნენ თითქმის 20 მილიონით ნაკლები, ვიდრე იმავე ასაკის ქალები. ეს დეფიციტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ „არაბუნებრივი“ ომის პირობებით.

დანაკარგებად მოკლულთა და გარდაცვლილთა სახით უნდა მივიჩნიოთ არა 8,66 მილიონი, რასაც დაბეჯითებით გვირჩევენ, არამედ, სულ ცოტა – 18,5 მილიონი. ეს ტრაგიკული სიდიდე ყალიბდება რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივის კარტოთეკით, ცნობებით მოლაშქრეთა დივიზიების ბედის შესახებ, დანაკარგებით პარტიზანთა შორის. მოკლული და გარდაცვლილი სამხედრო ტყვეების რიცხვით.

სამხედრო ფორმის ჩაცმა მოუწია ყოველ მეხუთეს ქვეყანაში. მთლიანად რუსეთში კი – თითქმის ყოველ მეოთხეს. გამოდის, რომ ომში წავიდა ორი, დაბრუნდა – ერთი.

ეს ყველაფერი მეტყველებს როგორც ჯარისკაცების სიმამაცის, ისე ხელმძღვანელთა უნიჭობისა და სიმკაცრის შესახებ, რომლებმაც ვერ ისწავლეს გაფრთხილებოდნენ ჯარისკაცების სიცოცხლეს, ან ეს არ სურდათ.

აი ყველაფერი, რისი თქმაც გვინდოდა მოკლულების, გარდაცვლილების, დაკარგულების დაანგარიშების სახელმწიფო ოსტატებთან დაკავშირებით. მათ შესახებ, ვინც უნდა ითვლიდეს ვალდებულების მიხედვით. მაგრამ, ეტყობა, ვალდებულება არ გულისხმობს წესიერებას. სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ, რომ სახელმწიფო სპეციალისტები არ იხედებიან ხსოვნის წიგნებში, რომლებიც შედგენილია, შემოწმებული და მრავალგზის გადამოწმებულია ენთუზიასტების და მოუსყიდველების მიერ.

მათ მიერ, ვისთვისაც ძვირფასია დაღუპულ ადამიანთა ხსოვნა, ვინც უბრუნებს ნათესავებს იმათ ხსოვნას, ვინც წავიდა ომში და აღარ დაბრუნებულა.

სიცრუე დაკარგულების შესახებ – ეს სახელმწიფო პროპაგანდის ინსტრუმენტია. მაგრამ, აი, რისი პროპაგანდის? და ნუთუ ჩვენმა პაპებმა და მამებმა, და ჯერ კიდევ ცოცხალმა ვეტერანებმა, და იმათ, ვინც დაეცა შაშხანით ხელში, და იმათ, ვისი საფლავებიც დღემდე უცნობია, დაიმსახურეს ეს სიცრუე, ჩინოვნიკების მიერ ნაკურთხი დავიწყება!

ეს სამარცხვინოა ქვეყნისთვის, ეს მისი ხალხის დამცირებაა.

**ვლადიმერ სპასიბო.**

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

ფაშიზმზე გამარჯვების 66-ე წლისთავი

## ბედნიერებაა, როცა აცნობიერებ, რომ სამშობლოს სჭირდები

### ცეცხლგამოვლილი გმირის ამბავი

**მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700 ათასზე მეტი გაიწვიეს, ნახევარი უკან არ დაბრუნებულა... რამდენი დარჩნენ? თითო-ოროლა – თითზე ჩამოსათვლელი გმირები, რომლებმაც გმირულად იბრძოლეს მამულისთვის, სამშობლოსა და ღირსების დასაცავად – ფაშიზმის წინააღმდეგ.**

...„ის დღე ჩემთვისაც ისევე დაიწყო, როგორც ჩემი თაობის მრავალი სხვა წარმომადგენლისათვის. საშუალო სკოლა დავამთავრე, სიმწიფის ატესტატი მივიღე და შინ ვბრუნდებოდი, ათასი სანუკვარი ოცნებით სავსე... მაგრამ ომი დაიწყო...

მესამე დღესვე ჯარში გამიწვიეს. მოსკოვის ფრონტზე მოვხვდი. შემდეგ წინახაზზე ნაღმტყორცნელთა გვარდიულ პოლკში გამამწესეს, ახალი საბრძოლო დანადგარის „კატიუშას“ მემიზნეობა დამევალა. ვიბრძოდი ვორონეჟთან, ჩუგუევთან, როსიშესთან... ვმონაწილეობდი უკრაინის, მოლდოვეთის, რუმინეთის, უნგრეთის ქალაქების გათავისუფლებაში. თანაპოლკელებთან ერთად გადავლახე დონი, დნეპრი, ბუგი, ტისა. პირველი ჯილდო – სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი – კიროვოგრადის აღებისას მივიღე, მედლები „მამაცობისთვის“, „საბრძოლო დამსახურებისთვის“ კი კიშინიოვსა და კარპატების საბრძოლო ოპერაციებში დავიმსახურე... ჩემს ხსოვნაში არასოდეს წაიშლება 1945 წლის 9 მაისი“.

91 წლის ომის ვეტერანი **ივანე ნადიბაიძე** ტკივილით, მაგრამ სიამაყით იგონებს უსაშინელეს ომს, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა. ბატონი ივანეს ომისდროინდელ ჩანაწერებს ვეცნობი, რომელიც რედაქციაში მისმა ქალიშვილმა მოიტანა. ათასგვარ გრძნობებსა და განწყობებს შორის დაწვრილებით არის ჩანიშნული ჯილდოების მიღების თარიღი, ადგილი, ბრძანებულების ნომრებიც კი... ასეთი ბევრია. მათ შორის არის ლექსი, მონატრებულ მშობლიურ მხარეზე, თავის სოფელზე: „დაღონებულნი მოწყენით სოფელში ყანებს მკიანო, საირმეთ ძღნი მაღალნი ნამგლურს ბანს დასძახიანო“... არც მანამდე და არც მერე ლექსი არ დაუწერია. სტალინის 12 მადლობა, ომის ვეტერანთა საბჭოს დიპლომი, ორდენები და 30 მედალი კომოდში უწყვია. გაზეთებში აღნუსხული მისი წარმატებები ერთხელაც საკუთარი ხელით მისცა ცეცხლს სახელმწიფოსგან უგულისყუროებითა და უპატივცემულობით გულმოსულმა ომის ვეტერანმა, რომელსაც მხოლოდ სახელიღა დაუტოვა – „ვეტერანი“, არავითარი შეღავათი ან დაფასება.

**„სიკვდილის შემდეგ წაუქცევენ ხოლმე მშობლებს ღვინოს და შესანდობარს იტყვიან, – ამბობს ქალბატონი მაყვალა, – მაგრამ ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, სიცოცხლეშივე ვცე მათ პატივი. მეამაყება, რომ ივანე ნადიბაიძის ქალიშვილი ვარ, მართლაც ღირსეული, ინტელექტუალური, კეთილშობილი, დამსახურებული ადამიანის შვილი“.** ის მოკრძალებით გვიყვება მამის ბიოგრაფიას: დუშეთში დაიბადა, სოფელ ნადიბაანში. ფასანაურის სკოლის დამთავრებისთანავე ომში გაიწვიეს. არაერთხელ გამოიჩინა თავი. უკან მხოლოდ 1947 წელს დაბრუნდა, დაოჯახდა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს, მაგრამ, ცოტა ხანში უარი თქვა თანამდებობაზე. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ზეინკლად დაიწყო მუშაობა, 45 წელი იმუშავა და იქაც ისახელა თავი. შრომის გმირის წოდება მიენიჭა. 4 ქალიშვილი, 7 შვილიშვილი, 3 შვილთაშვილი ჰყავს. ახლაც გამართული, ვაჟკაცური ნაბიჯებით დადის, სულ ფუსფუსებს, შრომობს, მხნეობას არ კარგავს. მერე რა, რომ ომის იარები აწუხებს, სულით მაინც გაუტეხელია.



**„სულ ოდნავ მეტი ყურადღება სჭირდება მამას, – გულისტკივილით ამბობს ქალბატონი მაყვალა, – თითქმის რუსთავის დაარსებიდან აქ ცხოვრობს, მუშაობს, ამ ქალაქს ემსახურა და არც ერთხელ „რუსთავქალაქობაზე“ არ მიუწვევიათ“.**

ჩვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელმაც დიდების მემორიალიც კი ააფეთქა და გული დასწყვიტა ვეტერანებს, შარშან რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ომის 65-ე წლისთავზე ოფიციალურად მიიწვია ბატონი ივანე, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან იყვნენ ჩასული ვეტერანები. გრანდიოზულ აღლუმში მიიღო მონაწილეობა, საჩუქრები და კიდევ ერთი მედალი გამოატანეს საქართველოში... მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო შეხვედრა ძველ მეგობართან – ლეგენდარულ „კატიუშასთან“, რომელმაც არაერთხელ იხსნა მისი სიცოცხლე. თურმე ატირებული მოეხვია გადამრჩენელს, თავის გამარჯვების ღირსეულ პარტნიორს...

**ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში ბატონი ვანო ამბობს: „ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა აცნობიერებ, რომ სამშობლოს სჭირდები“. რა თქმა უნდა! ვისაც კარგად ესმის იმ ბრძოლების ქარტეხილები და გაცნობიერებული აქვს სამამულო ომის მნიშვნელობა, ეჭვქვეშ არასოდეს დააყენებს ვეტერანთა დამსახურებას კაცობრიობის წინაშე, არასოდეს იკითხავს, იყო თუ არა ეს ომი მათი მოსაგები. ბუნებრივია, ვეტერანები სამშობლოს სჭირდებიან, როგორც უდიდესი წარსულის ცოცხალი მემატიანენი. სამწუხაროდ, წლები გადის... ბერდებიან და ლამის საუკუნეს უახლოვდებიან ჩვენი გმირები, რომლებმაც უმძიმესი დღეები გამოიარეს და ასე შექმნეს ისტორია ბრწყინვალე გამარჯვებისა!!!**

**თეა მოსია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ჩერჩილი თავის თანამედროვეთა შესახებ




მოსკოვის ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის და მეორე მსოფლიო ომის დიდი სამეულის – რუზველტი, ჩერჩილი, სტალინი – წევრის უინსტონ ჩერჩილის წიგნი თავის თანამედროვეთა შესახებ".

ეს არის ჩერჩილის მიერ 1929 წლიდან 1939 წლამდე დაწერილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების ფრიად სუბიექტური ლიტერატურული პორტრეტები. ბევრ მათგანთან მოუწია მას მუშაობა და ბევრთან მეგობრობდა კიდეც.

ბრწყინვალე ლიტერატორი (სხვათა შორის, მას მიღებული ჰქონდა ნობელის პრემია... ლიტერატურის დარგში), დაკვირვებული და გამჭრიახი ჩერჩილი ზუსტი და სხარტი ფერებით ხატავს ჩემბერლენის, როზბერის, ბერნარდ შოუს, კერზონის, ჰინდენბურგის, კლემენსოს, რუზველტისა და სხვათა პორტრეტებს.

ავტორის წინასიტყვაობაში ჩერჩილი წერს:

> „ამ ნარკვევებს ჩვენი დროის გამოჩენილი ადამიანების შესახებ მე ვწერდი უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში. თითოეული მათგანი დამოუკიდებელი თხზულებაა, რომელიც სხვადასხვა მხრიდან აჩვენებს იმ მოვლენათა მსვლელობას, რომლებმაც განსაზღვრეს დრო და როდესაც ჩვენ ვცხოვრობდით. იმედი მაქვს, ეს ნარკვევები დროული საუბარი აღმოჩნდება ამ დროის ნაკლებად ცნობილი დეტალებით. ისინი გვიამბობენ არა მხოლოდ როლების შემსრულებლებზე, არამედ იმის შესახებაც, რაც სცენაზე ხდებოდა. ისტორიულ რეტროსპექტივაში გადმოცემული ეს საუბრები შეიძლება იმ ეპოქის მატიანეში ერთგვარი ეტაპებიც კი აღმოჩნდეს.
>
> ვიფიქრე არ ჩამერთო ამ წიგნის შემადგენლობაში მასალები დიდი ბრიტანეთის იმ პოლიტიკური და სამხედრო ფიგურების შესახებ, რომლებიც დღესაც ჩვენთან არიან. არა იმიტომ, რომ არაფერი მაქვს მათზე სათქმელი ან რომ აქ ჩემი აზრი არ გამაჩნდეს. უბრალოდ, როდესაც წარსულთან მუშაობ, თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობ. კრებულის ცენტრალური თემა – ეს არის, რასაკვირველია, ჩვენი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა ვარსკვლავიც ამოვიდა გასული საუკუნის ბოლოსა და ახლანდელი საუკუნის დასაწყისში...
>
> როდესაც წიგნი გამომცემელს ჩავაბარე, გავაკეთე არსებითი დამატებანი, მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში ტექსტი იმ სახით დარჩა, როგორც თავდაპირველად დავწერე. დრო მალე იცვლება: ხან იქ, ხან აქ მიწევდა საუბრის მოყვანა დღევანდელ დღემდე. ამავე დროს მე შევარბილე ზოგიერთი შეფასება და გამონათქვამი, რომლებიც ამ სახით უფრო მიესადაგება სამატიანო ჟანრს"...
>
> უინსტონ სპენსერ ჩერჩილი.
> 1939 წლის ოქტომბერი.

*ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ, თანამიმდევრობით ორ თავს უინსტონ ჩერჩილის წიგნიდან – ლევ ტროცკისა და ჰიტლერის შესახებ.*

# ლევ ტროცკის ცოტა სიხარული....

**როდესაც უზურპატორი და ტირანი ლიტერატურულ პოლემიკამდე ეშვება, როდესაც კომუნისტი ბომბებს კი არ აკეთებს, არამედ სულს კაპიტალისტურ პრესაში ანთხევს, როდესაც ლტოლვილი კატორღელი კვლავ და კვლავ ხელახლა თამაშობს თავის ბრძოლებს, როდესაც გადაყენებული ჯალათი სალონის ბუხართან მოლაყბედ იქცევა, შეგვიძლია გვიხაროდეს უკეთესი დღეების დადგომის ნიშანი.**

ჩემ წინაა სტატია, რომელიც ტროცკიმ, იგივე ბრონშტეინმა, ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთი ყოველკვირეული ჟურნალისთვის დაწერა. ის მასში მსჯელობს დახასიათებაზე, რომელიც მე ლენინს მივეცი, რუსეთში მოკავშირეების ინტერვენციაზე, ლორდ ბირკენჰედზე და სხვა სადავო თემებზე. ტროცკიმ ის დაწერა თურქეთში განდევნის დროს, საიდანაც გაგზავნა პეტიციები ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში თხოვნით შეეშვან იგი ამ ცივილიზაციაში, რომლის დანგრევაც იყო და რჩება მისი ცხოვრების მთავარ მიზნად. რუსეთმა, მისმა საკუთარმა წითელმა რუსეთმა, რომელსაც ის, სხვების წამებისა და თავისთვის რისკის მიუხედავად, ჭრიდა და კერავდა საკუთარი ნებით, მოისროლა იგი შორს. ყველა მისმა ინტრიგამ, ყველა მისმა გაბედულმა საქმეებმა, ყველა მისმა შრომამ, ყველა მისმა მოწოდებამ, ყველა მისმა სიმკაცრემ მიიყვანა იგი მხოლოდ იმასთან, რომ მეორე „ამხანაგი", მისი ხელქვეითი რევოლუციურ იერარქიაში, გონებრივად მასზე სუსტი, თუმცა, შეიძლება, მისი თანაბარი დანაშაულობათა ოდენობით, მართავს, დაიკავა რა მისი ადგილი, თავად იგი კი, ის, რომელიც ოდესღაც ტრიუმფატორი ტროცკი იყო, რომლის ერთი წარბშეკვრა მრავალი ათასი ადამიანის სიკვდილს ნიშნავდა, გადაიქცა ბოროტებით აღვსილ ტიკად, უიმედოდ რომ გაიჩხირა შავი ზღვის სანაპიროზე და მოგვიანებით მოსროლილი იქნა მექსიკის ყურის სანაპიროზე.

ძნელი იყო მისი გულის მოგება. მას არ მოსწონდა მეფე, ამიტომ მოკლა იგი და ამოხოცა მისი ოჯახი. მას არ მოსწონდა რუსეთის იმპერიის მთავრობა, და ამიტომ ააფეთქა იგი. მას არ მოსწონდა გუჩკოვისა და მილიუკოვის ლიბერალიზმი, და ამიტომ დაამხო იგი. მას არ შეეძლო აეტანა კერენსკისა და სავინკოვის სოციალურ-რევოლუციური ზომიერება, ამიტომ დაჯდა მათს ადგილზე. და როდესაც კომუნისტურმა რეჟიმმა, რომლის გამარჯვებისთვისაც ის მთელი ძალით იბრძოდა, ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა მთელ რუსეთში, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურა გახდა უმაღლესი ხელისუფლება, როდესაც ახალი საზოგადოებრივი წესრიგი თეორიიდან იქცა პრაქტიკად, როდესაც ინდივიდუალიზმის პერიოდის ტრადიციები და კულტურა იქნა განადგურებული, როდესაც საიდუმლო პოლიცია მესამე ინტერნაციონალის სამსახურში ჩადგა, ერთი სიტყვით, როდესაც ის მიცურდა თავის უტოპიაში, ის მაინც ვერ გრძნობდა კმაყოფილებას. ის ისევ ბობოქრობდა, ბრდღვინავდა, იღრინებოდა, იკბინებოდა და ქსოვდა ინტრიგების ბადეს.

მან ღარიბები მდიდრებს მიუსია. მან ღარიბები ღატაკებს მიუსია. მან დამნაშავეები ღარიბებს მიუსია. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მას უნდოდა, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების მანკი სულ ახალ და ახალ ქსელს ითხოვდა. როდესაც ყველაზე ღრმა ორმოს ფსკერზე დაეშვა, ის თავგანწირული ენერგიით შეეცადა დაეყვინთა კიდევ უფრო ღრმად. საბრალო არამზადა, ფსკერზე კლდეზე აღმოჩნდა. მსოფლიოში არაფერია დამნაშავე კომუნისტურ კლასზე დაბლა. ამაოდ შესცქეროდა იგი ველური ცხოველების სამეფოს. მაიმუნებს არ შეეძლოთ შეეფასებინათ მისი მჭევრმეტყველება. მგლები, რომელთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი მმართველობის წლებში, არ ემორჩილებოდნენ მითითებებს მობილიზაციის შესახებ. დამნაშავეები, რომლებმაც თანამდებობები მისი ხელით მიიღეს, გამოვიდნენ ერთობლივად და მოიშორეს იგი თავიდან.

აი რატომ გაჩნდა ეს სალაყბო სტატიები. აი რატომ მოვიდა ჩვენამდე ეს ყმუილი ბოსფორიდან. აი რატომ მოისმის ვედრება ნებართვის შესახებ – მოინახულოს ბრიტანეთის მუზეუმი მისი დოკუმენტების შესწავლის მიზნით, ან გაემგზავროს მოლვერნში რევმატიზმის სამკურნალოდ, ან ნაუხაიმში გულის სამკურნალოდ, ან ჰამბურგში ნიკრისის ქარის სამკურნალოდ, ანდა კიდევ სადმე რაღაცისთვის. აი რატომ ზის ის პირქუშად ჩრდილში თურქეთის სანაპიროზე მუსტაფა ქემალის ყურადღებიანი მზერის ქვეშ. აი რატომ იყო ის იძულებული დაეტოვებინა საფრანგეთი და სკანდინავია. აი რატომ გახდა მისი საბოლოო თავშესაფარი მექსიკა.

არ შეიძლება არ გიკვირდეს ის ფაქტი, რომ ტროცკის, მთელი მისი ინტელექტის მიუხედავად, არ შეუძლია გაიგოს ცივილიზებულ მმართველთა კომუნისტური მოძრაობის წამყვანი წარმომადგენლების გამოკვეთილი მიუღებლობა. ის ისე წერს, თითქოს ეს მიუღებლობა განპირობებულია მარტივი ვიწრო ცრურწმენით ახალი იდეებისა და მეტოქე პოლიტიკური თეორიების წინააღმდეგ. მაგრამ კომუნიზმი – ეს უბრალოდ სარწმუნეობრივი მოძღვრება როდია. ეს მოქმედებათა გეგმაა. კომუნიზმი – ეს უბრალოდ გარკვეული შეხედულებების მატარებელი როდია, იგი აგრეთვე კარგად მოფიქრებულ საშუალებათა გრძნებით შეკრული ადეპტია მათი განხორციელებისთვის. შესწავლილია თითოეული ფაზა, უკმაყოფილებისა და რევოლუციის თითოეული ასპექტი და შედგენილია ნამდვილი სახელმძღვანელო არსებული საზოგადოებრივი ინსტიტუტების დასანგრევად. განხორციელების საშუალებანი კომუნისტური რელიგიის ისეთივე ნაწილია, როგორც თავად მოძღვრება. თავდაპირველად პირმშოს დასაცავად იყენებენ დროის მიერ განათებული ლიბერალიზმისა და დემოკრატიის პრინციპებს. სიტყვის თავისუფლება, უფლება საჯარო მიტინგებზე, ლეგალური პოლიტიკური აგიტაციის ნებისმიერი ფორმები და საკონსტიტუციო უფლებანი აღლუმად მიდიან ქუჩებში, და მათ არავინ უარყოფს. ფორმდება კავშირები თითოეულ საზოგადოებრივ მოძრაობასთან მარცხენა ფლანგზე.

საზოგადოებრივი რყევების პერიოდში ზომიერი ლიბერალური ან სოციალისტური რეჟიმის შექმნა ხდება პირველი ეტაპი. მაგრამ როგორც კი ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდება, მას უმალვე ამხობენ. უსიამოვნებანი და ყველაფრის საყოველთაო უკმარისობა, რასაც არეულობა იწვევს, უნდა გამოიყენო. ახალი მთავრობის წარმომადგენლებსა და მუშებს შორის საჭიროა მოაწყო შეტაკებანი, რაც შეიძლება სისხლიანი. უნდა შექმნა წამებულები. მმართველი წრეების შერიგებიდანაც უნდა მიიღო მოგება. პაციფიზმის პროპაგანდაც შეიძლება გამოიყენო, როგორც ნიღაბი, რომელიც ფარავს ზიზღს, რაც ხალხმა ადრე არასოდეს იცოდა. ნდობა გამორიცხულია; უფრო ზუსტად, ის არ უნდა აღმოუჩინო არაკომუნისტებს. კეთილი ნების, შემწყნარებლობის, შერიგების, მოწყალების და დიდსულოვნების თითოეული აქტი, რომელსაც ახორციელებს მთავრობა ან სახელმწიფო მოღვაწეები, უნდა იქნეს გამოყენებული იმისთვის, რომ დაამხო ისინი. შემდეგ კი, როდესაც დრო მოვა და დადგება ხელსაყრელი მომენტი, დაუყოვნებლივ და დაუნდობლად გამოიყენო მომაკვდინებელი ძალადობის ნებისმიერი ფორმა – ქუჩის ბრბოს აჯანყებიდან კონკრეტული ადამიანების მკვლელობამდე. ციტადელი აღებული იქნება თავისუფლებისა და დემოკრატიის დროშით, ხოლო როგორც კი ხელისუფლების აპარატი მოძრაობის ბელადების ხელში აღმოჩნდება, მთელი ოპოზიცია, ყველა ისინი, ვინც არ გეთანხმება, უნდა განადგურდეს სამუდამოდ. დემოკრატია – ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოყენების შემდეგ უნდა დაამტვრიო. თავისუფლება – ეს არის სენტიმენტალური ფუჭუტურა, უღირსი ლოგიკა. თვითმარქვია დასის აბსოლუტისტური სამსახური იმ დოგმების შესაბამისად, რომლებიც მათ ზეპირად შეისწავლეს, თანდათანობით გავრცელდება უკლებლივ მთელს კაცობრიობაზე, ერთხელ და სამუდამოდ. ეს ყველაფერი, დაწერილი არა მხოლოდ სიტყვებით სახელმძღვანელოების ფურცლებზე, არამედ სისხლითაც ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო ისტორიის ფურცლებზე, არის სწორედ კომუნისტური რელიგია და კომუნისტების მიზანი.

მაგრამ ის, ვინც გაფრთხილებულია, არის უკვე შეიარაღებული!

ეს სტრიქონები მე დავწერე თითქმის შვიდი წლის წინათ, მაგრამ არ არის ეს განა კომუნისტური იმ შეთქმულების



ზუსტი აღწერა, რომელმაც ჩაითრია ესპანეთი ამჟამინდელ შემზარავ ქაოსში, ორივე მხარე ესპანურია, უდიდესი უმრავლესობის სურვილის საწინააღმდეგოდ?

შეიძლება, ტროცკის არასოდეს ესმოდა მარქსისტული სარწმუნოებრივი მოძღვრება, მაგრამ ის მის დარიგებათა შეუდარებელი მცოდნე იყო. მის ნატურაში დამალული იყო ყველა თვისება, რაც აუცილებელია საზოგადოების განადგურების ხელოვნებაში: ორგანიზაციული ნიჭი, როგორც კარნოსთან, ცივი განყენებული ინტელექტი, როგორც მაკიაველთან, ბრბოს მიმხრობის ორატორული უნარი, როგორც კლეონთან, სიმკაცრე, როგორც ჯეკ გამომფატვრელთან, სიმტკიცე, როგორც ოუტსთან. მოქმედებისადმი მის დაუღლელ მაღალ უნარს ვერ ასუსტებდა ვერც უმცირესი შებრალება, ვერც ნათესაობრივი ან სულიერი ერთიანობის ადამიანური გრძნობები. როგორც კიბოს სიმსივნე, ის იზრდებოდა, ის საზრდოობდა, ის აწამებდა, ის კლავდა თავისი ბუნების სრული შესაბამისობით.

მან იშოვა ცოლი, რომელიც იზიარებდა მის კომუნისტურ რელიგიას. მისი ცოლი მასთან ერთად მუშაობდა და აწყობდა შეთქმულებებს. იზიარებდა მეფის დროს ციმბირში მისი პირველი გადასახლების ტვირთს. გაუჩინა მას შვილები. დაეხმარა გაქცეულიყო. ტროცკიმ კი იგი მიატოვა. იშოვა ნათესაური სული ქალიშვილში კარგი ოჯახიდან, რომელიც გიმნაზიიდან გარიცხეს იმის გამო, რომ მოუწოდებდა მოსწავლეებს არ

→

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ევლოთ ლოცვებზე და ბიბლიის ნაცვლად ეკითხათ კომუნისტური ლიტერატურა. მასთან ერთად ტროცკიმ შექმნა კიდევ ერთი ოჯახი. როგორც მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი (მაქს ისტმანი) წერს, „კანონის ზუსტი განმარტებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ის მისი ცოლი არ ყოფილა, ვინაიდან ტროცკი არასოდეს განქორწინებულა ალექსანდრა სოკოლოვსკაიასთან, რომელიც დღემდე ატარებს ბრონშტეინის გვარს“. თავის დედაზე ტროცკი წერს ცივად და გულგრილად. მამამისი – ძველი ბრონშტეინი – გარდაიცვალა ტიფისგან 1920 წელს 83 წლის ასაკში. შვილის ტრიუმფმა ვერ მოუტანა ბედნიერება ამ პატიოსან მშრომელ და მორწმუნე ებრაელს. წითლები მას სდევნიდნენ იმის გამო, რომ ის იყო ბურჟუაზია, თეთრები – იმის გამო, რომ ტროცკის მამა იყო. შვილის მიერ მიტოვებული ის გაჰყვა რუსული წარღვნის ტალღებს, და ჯიუტად მიცურავდა ბოლომდე. მეტი რაღა დარჩენოდა?

და მაინც ტროცკიში, ინდივიდუმში, რომელიც ასე შორს იყო ჩვეულებრივი ადამიანური ერთგულებისა და გრძნობებისგან, ასე მკვეთრად რომ გვამაღლებს, მოდით არ ვთქვათ, რიგითი მრევლის ფონზე, ასე კარგად რომ არის მომზადებული თავისი ამოცანის შესასრულებლად, იყო სისუსტის ერთი ელემენტი, რომელიც კომუნისტური თვალსაზრისით განსაკუთრებით სერიოზული იყო. ტროცკი იყო ამბიციური და ამბიციური ამ სიტყვის ყველაზე ჩვეულებრივი გაგებით. არანაირ კოლექტივიზმს არ შეეძლო წაერთმია მისთვის ეგოიზმის გრძნობა, რაც მასში იქცა ავადმყოფობად, და საბედისწერო ავადმყოფობად. მას არა მხოლოდ უნდა დაენგრია სახელმწიფო, შემდეგ მას უნდა ეხელმძღვანელა იმისთვის, რაც ამის შემდეგ დარჩებოდა. მას ეზიზღებოდა მართვის ნებისმიერი სისტემა, თუ იგი არ ითვალისწინებდა მას, როგორც მეთაურს ან პირველ მოადგილეს. პროლეტარიატის დიქტატურა მისთვის ნიშნავდა მასზე უსიტყვო მორჩილებას. მას ეკუთვნოდა უფლება ეკარნახა პროლეტარიატის სახელით. „მშრომელთა მასები“, „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები“, კარლ მარქსის სახარებანი და ზეშთაგონებანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და სხვ. თავს იყრიდა, მისი აზრით, ერთ სიტყვაში: ტროცკი. ეს იწვევდა პრობლემებს. მეგობრებს შური გაუჩნდათ. როდესაც მოვიდა წითელი არმიის სათავეში, რომლის რეკონსტრუქციაც თავადვე განახორციელა, მიუხედავად აღუწერელი სირთულეებისა და ხიფათისა, ტროცკი ძალიან ახლოს მივიდა რომანოვების დაცარიელებულ ტახტთან.

კომუნისტურ პრინციპებს, რომლებსაც ის ასეთი გამანადგურებელი ეფექტით იყენებდა სხვების მიმართ, ახლა უკვე აღარ შეეძლოთ მისთვის ხელისშეშლა. მან ისინი მოისროლა ისეთივე სიმსუბუქით, როგორითაც მან დაივიწყა თავისი ცოლი, მამა და საკუთარი სახელი. აუცილებელია არმიის გარდაქმნა, აუცილებელია გამარჯვების მოპოვება, ეს ტროცკიმ უნდა გააკეთოს, და ეს ტროცკის უნდა გამოადგეს. მაშ რისთვისღა კეთდება რევოლუციები? მან თავისი განსაკუთრებული ნიჭი სრულად გამოიყენა. ახალი ტიპის არმიის ოფიცრებს და ჯარისკაცებს კვებავდნენ, აცმევდნენ უკეთ, ვიდრე ვინმეს რუსეთში, შესაბამისი იყო მათდამი დამოკიდებულებაც. მეფის არმიის ოფიცრებს ათასგზის სთავაზობდნენ დაბრუნებულიყვნენ. „ჯანდაბას პოლიტიკა, მოდით, რუსეთი გადავარჩინოთ“. აღდგა სალმის მიცემა (სამხედრო წესით). დაბრუნდა განსხვავებისა და უფროს-უმცროსობის ნიშნები. მეთაურებს დაუბრუნდათ თავიანთი უფლებამოსილებანი. უფროსმა ოფიცრებმა და გენერლებმა აღმოაჩინეს, რომ ეს კომუნისტური მეტიჩრები მათ ეპყრობიან პატივისცემით, რასაც არასოდეს გრძნობდნენ მეფის მინისტრების კაბინეტებში. ხოლო როდესაც მოკავშირეებმა მიატოვეს რუსული პატრიოტული მოძრაობა, ამ ზომებმა იზეიმეს იოლი, მაგრამ სრული გამარჯვება. 1922 წელს სამხედროები ისე დიდად აფასებდნენ ტროცკის არმიისა და მისი მშენებლობისადმი მისი პირადი დამოკიდებულებისათვის, რომ მათ შეეძლოთ გაეხადათ იგი რუსეთის დიქტატორად, რომ არა ერთი საბედისწერო გარემოება.

ის ებრაელი იყო. ის ჯერ ისევ ებრაელი იყო, და ამას ვერაფერს მოუხერხებდი. აიტანო ბედის სიმძიმეები, მიატოვო ოჯახი, შეარცხვინო შენი ხალხი, მიაფურთხო მამათა რელიგიას, გააერთიანო ებრაელი და ვინც გინდა საერთო ზიზღში – და ეს ყველაფერი იმისთვის, რათა ასეთი უგუნური მიზეზით ხელიდან გაუშვა ასეთი დიდი ნაალაფევი?! მართლაც ძნელია შეურიგდე ასეთ ფანატიზმს, ასეთ უხამსობას, ასეთ ფარისევლობას. ამ უბედურებას კიდევ თან მოსდევდა უფრო მეტი უსიამოვნებანი. გაწბილებას მოჰყვა კატასტროფა.

და ყველაფერი იმიტომ, რომ ამხანაგები გულხელდაკრეფილები როდი იყვნენ. ისინიც უსმენდნენ ოფიცრების საუბრებს. ისინიც ხედავდნენ, თუ რა შეუძლია არმიას, გარდაქმნილს ძველი კადრების საფუძველზე. სანამ ცოცხალი იყო ლენინი, საფრთხე არც ისე რეალური ჩანდა. ლენინს მართლაც მიაჩნდა ტროცკი თავის პოლიტიკურ მემკვიდრედ. ის ცდილობდა მის დაცვას. მაგრამ 1924 წელს ლენინი გარდაიცვალა, ტროცკიმ კი, რომელიც ჯერ ისევ თავისი არმიის საქმიანობით იყო დაკავებული, ჯერ ისევ მართავდა თავის დეპარტამენტს, ჯერ ისევ ქება-დიდებაში დაცურავდა, რაც ადრე მხოლოდ ნიკოლოზ II-ს ეძლევნებოდა ხოლმე, უეცრად აღმოაჩინა, რომ მის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ოპოზიცია.

ქართველი სტალინი მართვის აპარატის ერთგვარი გენერალური მდივანი იყო. ის სარდლობდა ყრილობებზე და ურიცხვი კომიტეტების მუშაობას წარმართავდა. ის მოთმინებით აგროვებდა ყველა ძაფს თავის ხელში, ჰქონდა თავისი აშკარა მიზნები. როდესაც ტროცკიმ გამოამჟღავნა განზრახვა, სავსებით დასაბუთებული, მიეღო ლენინის მემკვიდრეობა, აღმოჩნდა, რომ პარტიული მანქანა სხვა მიმართულებით მუშაობდა. ტროცკი სწრაფად დაჯაბნეს კომუნისტური მოღვაწეობის პოლიტიკურ დარგში. მას სერიოზულად დასდეს ბრალი იმაში, რომ ზოგიერთი მისი დიდტანიანი თხზულება ანტილენინურია. აღმოჩნდა, რომ მან ვერ გაიგო – ღმერთი კომუნისტურ შეგნებაში შეცვალა ლენინმა. მას ჯერ კიდევ სწამდა, რომ ასეთი – სასურველი – შეცვლა უკვე გაკეთებულია ტროცკის სახით. მან აღიარა ერესი და სიამოვნებით უყვებოდა ჯარისკაცებსა და მუშებს ყველაზე მაღალ მიზეზებზე, რომლებმაც იგი მასთან მიიყვანა. მისი დეკლარაციები ერთგვარი აღელვებით მიიღეს. საქმეში მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილება (ე.წ. „გეპეუ“) ჩაერთო. ოფიცრები, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავისი მიდრეკილებით ტროცკისადმი, მოხსნეს თანამდებობებიდან. წყნარი დაძაბულობის პერიოდის შემდეგ მას ურჩიეს აელო შვებულება. ზოგიერთი შესვენებებით ეს შვებულება დღემდე გრძელდება.

სტალინი არ შეჩერებულა იმაზე, რასაც მიაღწია, უფრო შორსაც წავიდა. პოლიტბიურო, ლენინის სახელის მაგიის გარეშე, ტროცკის ძალის გარეშე, თავის მხრივ, გაასუფთავეს დარჩენილი ავტორიტეტებისგან. პარტიის ხელმძღვანელმა გაათავისუფლა, რეპრესირება მოახდინა და გავლენა წაართვა იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც მოახდინეს რევოლუცია. პარტიულმა დაჯგუფებამ ჩაყლაპა მინისტრთა კაბინეტი და სტალინის ხელმძღვანელობით გახდა რუსეთის მთავრობა. ტროცკის იზოლირება მოახდინეს თავად იმ მეამბოხეებმა, რომლებიც ასე დაჟინებით მიჰყავდა მას გემის ხელში ჩასაგდებად.

რა ადგილს დაიკავებს ის ისტორიაში? საფრანგეთის რევოლუციის ყველა საშინელების მიუხედავად, მის სცენას და მასზე მოქმედ მსახიობებს ანათებს კაშკაშა სინათლე. აი უკვე ასი წელია მასზე მჭმუნვარედ ანათებენ ისეთ პიროვნებათა ცხოვრების გზა, როგორებიც იყვნენ რობესპიერი, დანტონი და მარატიც კი. მაგრამ რუსი ბოლშევიკების მოსაწყენი და უფერული ფიგურები არ იწვევენ ინტერესს თავიანთი დანაშაულებების მოცულობებითაც კი. ყოველივე არაორდინარული, კონტრასტული დაიფარა ვრცელი აზიური წყალდიდობით. მილიონების სიკვდილი და ათეულობით მილიონის წამებაც კი ვერ გამოიწვევენ მომავალ თაობებში ინტერეს მათი უხეში სახეებისა და უცნაური სახელებისადმი. დღეისთვის ბევრ მათგანს თავისი დანაშაულისთვის უკვე მიეზღო. საგანგებო კომისიის (ჩეკას) ციხეებიდან ისინი გამოჩნდნენ, რათა მთელი მსოფლიოს წინაშე აღიარონ არაბუნებრივი აღიარება. ისინი თავიანთ სიკვდილს საიდუმლოებაში შეხვდნენ, ისეთ საიდუმლოებაში, რომელიც თან ახლდა ასეთი დიდი ოდენობის უფრო ღირსეული და მამაცი ხალხის სიკვდილს, რისი განაჩენიც თავად მათ გამოჰქონდათ ოდესღაც.

ტროცკი კი გადარჩა. ის შერჩა სცენას. მან დაივიწყა თავისი მცდელობები – ლენინის საპირისპიროდ – გააგრძელოს ომი გერმანელებთან და არ დათანხმებულიყო ბრესტის ზავის პირობებს. მან დაივიწყა თავისი მხედართმთავრისა და ოპორტუნისტის კარიერა, რომელიც აღადგენდა რუსეთის არმიას. წარუმატებლობის დღეებში ის დაბრუნდა მართლმორწმუნე ბოლშევიზმის წიაღში. ის კვლავ გახდა ყველაზე პურიტანული კომუნისტური სექტის წევრი. მისი სახელის გარშემო თავს იყრიან მსოფლიო რევოლუციის ახალი ექსტრემისტები და დოქტრინიორები. სწორედ მისკენ არის მიმართული საბჭოთა სიბოროტის ძირითადი ჩაქაფუნი. ისეთივე საზიზღარი პროპაგანდა, რასაც ასე დაუნდობლად ეწეოდა ის ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, მიმართულია ახლა მის წინააღმდეგ, და ამ პროპაგანდას ეწევა მისი უკანასკნელი გადარჩენილი ამხანაგი. სურთ მთელი რუსეთი-პოლონეთიდან ჩინეთამდე და ჩრდილოეთი პოლუსიდან ჰიმალაემდე – დარწმუნონ, რომ ის უმთავრესი ბოროტმოქმედებია, რომელმაც ამა თუ იმ ხერხით უნდა დაადოს მუშებს ახალი ბორკილები და მოიყვანონ მათს ქვეყანაში ნაცისტი ინტერვენტები. ლენინის სახელს, მარქსის მოძღვრებას იყენებენ მის წინააღმდეგ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ის თავად ცდილობდა ფანატიკურად მათს გამოყენებას.

კომუნიზმის ვირუსის შესუსტების კვალობაზე რუსეთი მის სისხლში აღიდგენს ძალებს. პროცესი მტკივნეულია, მაგრამ ეს არ არის პათოლოგია. სწორედ თვითგადარჩენის მოსაზრებამ აიძულა საბჭოთა მთავრობა გაეძევებინა ტროცკი თავისი ახლად მომზადებული საწამლავებით. ამაოდ გამოთქვამს ის ასე ხმამაღლა თავის პროტესტს მისი მისამართით, ამაოდ გმობს ბიუროკრატიულ ტირანიას, რომელსაც ოდესღაც თავად ედგა უდარდელად სათავეში, ამაოდ ცდილობს მოახდინოს ევროპული ნაძირალების მობილიზაცია რუსეთის არმიასთან საბრძოლველად, რისი მეთაურობითაც ის ოდესღაც ამაყობდა. რუსეთმა მას ბოლო მოუღო, და ბოლო მოუღო საბოლოოდ.

შეიძლება, ის ახლა მონახავს დროს იფიქროს თავის მიერ გაკეთებულ საქმეზე. არ შეიძლება უსურვო მას უფრო ღირსეული სასჯელი, ვიდრე ხანგრძლივი სიცოცხლეა, რომლის დროსაც მისი მოქნილი ინტელექტი და დაუდეგარი სულისკვეთება ჩაყლაპავდნენ ერთმანეთს უძლურობასა და დეგრადაციაში. ჩვენ შეგვიძლია მართლაც ვივარაუდოთ, რომ დადგება დრო, როდესაც მისი თეორიები, დამსხვრეული რეალურად მათი განხორციელების მცდელობებით, შეწყვეტენ მის გარშემო განვითარებული ცოცხალი მსოფლიოს გაღიზიანებას, თვითგადარჩენის გრძნობა კი აიძულებს მას შეურიგდეს სინამდვილეს, და მას ნებას მისცემენ წავიდეს ფორთხვით უკან ევროპისა და ამერიკის სამახსოვრო ადგილებისკენ, სადაც მან თავისი ცხოვრების ასე ბევრი წლები გაატარა. მაგრამ, შეიძლება, რომ ამ მომავალ წლებშიც ის მონახავს ისეთსავე ცოტა სიხარულს თავის საქმეებში, როგორც მისმა მამამ ნახა თავის შვილში, ვისაც მან სიცოცხლე აჩუქა.

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**

## „დემოკრატიული“ იგავი

## როგორ მოკვდა კოდალა

**დიდსა** და ლამაზ ტყეში, სადაც მხოლოდ მხეცები ცხოვრობდნენ, ცხოვრობდა ერთი კოდალაც. კოდალა, მეტი რომ არაფერი შეეძლო, აკაკუნებდა და აღვიძებდა ქვეყანას.

– ხალხო, სიცოცხლე მარტო ძილი როდია, ნუ გძინავთ, გამოიღვიძეთ, ჭირიც ნახეთ და ლხინიც, მტერიც და მოყვარეც, კარგიც და ცუდიც, თორემ, ვაი თუ, ავი და ოხერი შემოგეპაროთ, აგაოხროთ და შეგარცხვინოთო!

ტყეში, რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ მელიები, მგლები, კატები, თაგვები, ტურები, ვეფხვებიცა და ლომებიც კი. ტყეს იყო შეფარებული, აგრეთვე, ერთი პატრონს გამოქცეული ვირიც, მსუქანი და მეტად ნიჭიერი, ვირეშმაკას რომ ეძახიან იმფერი. და ეს, ვირის კვალობაზე, ჭკვიანა ვირი, ლომმა თავის მოურავად დანიშნა.

მოგეხსენებათ, მეფის კარზე სამსახური არც ისე ადვილი საქმეა. ვირი წელში წყდებოდა და არავის აძლევდა უფლებას დაერღვია მეფის მყუდროება და მოსვენება. ერთხელ მისი მეცადინეობით ტყიდან ბულბულიც კი გააძევეს, აქაო და, როგორ ბედავ ტყეში გალობას და მეფის მყუდროების ხელყოფასო. იმ დღიდან ვირმა კანონიც კი შემოაღებინა, – მეფის გარდა, ყველა შემძლესა და მაღალი ხმის პატრონს პირი უნდა აეკრა, თორემ...

„...ჰოდა, საწყალი კოდალაც, ერთ მშვენიერ (თუ უბედურ) დღეს, ამ კანონის მსხვერპლი გახდა.

– შენ ნამეტანი გახვედი თავს, მეზობელო! – უთხრა ვირმა, – ხომ იცი, ჩვენთან, ჩვენს სამფლობელოში სასტიკად აკრძალულია კაკუნი, ჩხაკუნი და ყოველგვარი ხმის გაღება, თუნდაც სიმღერა იყოს! ჰოდა, თუ არ გაჩუმდები, ბუდეს დაგინგრევთ, პირს აგიკრავთ!..

რა უნდა ექნა საცოდავ ფრინველს? მხეცების ენა მან არ იცოდა, მშველელიც არავინ ჩანდა ირგვლივ. არადა, ტყიდან ხომ არ გაიქცეოდა, ხომ არ მიატოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს? თანაც სამშობლოდან განდევნილს, აბა, სად უნდა ეცხოვრა? იჯდა თავის ფუღუროში და თავს ვერ ჰყოფდა გარეთ. წუხდა და დარდებს გულში იკლავდა. გულში დაგროვილ დარდებს კი, მუდამ უბედურება მოაქვს. ვერ გაუძლო ჩიტმა ვირის ვირობას და გული გაუსკდა!

**მინაწერი:** – ამბობენ, დასაფლავებაზე ლომიც იყოო თავის ამალასთან ერთად, ცრემლიც კი დაღვარაო ცხოველთა მეფემ.

– ეს ისე, ფრინველთა მეფის, არწივის ხათრით, თორემ, ვის დაჰკარგვიაო კოდალა?.. – ძაღლი მიაკვდაო სულში!.. – თქვა ვირმა და ჩაიცინა.

ასეა! ვირს ვირობას ვინ მოაშლევინებს, მით უმეტეს მაშინ, თუ ვირი მეფის კაცია!

**ზაურ ფიფია**

## ინფორმაცია

## ევროპა საქართველოს მოქალაქეებისთვის ლეგალური სამუშაო ადგილების გამოყოფას დათანხმდა

**მიგრაციის** თემაზე მომუშავე სახელმწიფო კომისია კონკრეტულ ქვეყნებთან მოლაპარაკებას მართავს, რის შემდეგადაც ცნობილი გახდება ვინ და რამდენ სამუშაო ადგილს გამოყოფს ქართველებისთვის. ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელთანაც მოლაპარაკებები ფინალურ სტადიას მიუახლოვდა, საფრანგეთია. ოფიციალური პარიზი თანახმაა, საქართველოს მოქალაქეებისთვის 200 სამუშაო ადგილები გამოყოს.

„საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ დასაქმება საფრანგეთში. განსაზღვრულია პროფესიებიც. ამ პროფესიებზე მოწვევის შემთხვევაში ისინი გამარტივებული წესით მიიღებენ სამუშაო ვიზებს საფრანგეთში. პროფესიების ჩამონათვალი საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს და შეირჩა ერთმანეთთან შეთანხმებით ორივე ქვეყნის გათვალისწინებით.„ საფრანგეთის გარდა მოლაპარაკებები დაწყებულია სხვა ქვეყნებთანაც, მათ შორის ჩეხეთთან.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ეშტონი კრემლს ერთადერთხელ აუმხედრდა

**მიმდინარე წლის 28 აპრილს, რატომღაც, ბრიუსელში საინტერესო ამბავი მოხდა. ევროკავშირმა, საკუთარი საგარეო საქმეთა მინისტრის კეტრინ ეშტონის სახით ხმა აიმაღლა რუსეთის წინააღმდეგ და მოსკოვი ცინიკური და პროვოკაციული მოქმედებისთვის გააკრიტიკა. ეს ყველაფერი არა კულუარებში ან ჩართული ტელეკამერების წინ, არამედ ოფიციალური განცხადების გზით მოხდა.**

საქმე ეხება 25-26 აპრილს საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ეგრეთწოდებულ „ოფიციალურ ვიზიტს“ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში), კრემლის მიერ ხელდასხმული და მისი დაცვის ქვეშ მყოფი ადგილობრივი რეჟიმების წარმომადგენლებთან შესახვედრად. მოკლედ, ქალბატონმა ეშტონმა დაადასტურა, რომ, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, „ვიზიტი“ აშკარად უკანონო იყო, რადგან არ არსებობდა მასზე საქართველოს მთავრობის ფორმალური თანხმობა და შესაბამისად ის არღვევდა ეროვნული სუვერენიტეტის ძირითად პრინციპს. რუსეთმა თავი იმით გაიმართლა, რომ ომის შემდეგ მან ცალმხრივ რეჟიმში აღიარა ამ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და, შესაბამისად, კრემლის აზრით, საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს თბილისის მხრიდან არანაირი თანხმობა არ სჭირდებოდა.

ამ განსხავებულ ინტერპრეტაციებსაც რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რუსეთის ინტერვენციის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებული სტატუს-კვო ძალიან შემაშფოთებელი და არამდგრადია და არა მხოლოდ ქართველებისთვის, რომლებიც მას ვერ შეეგუებიან, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. რუსეთის მოქმედებებმა საქართველოსთან ომის პერიოდში, ის დილეტანტი-პოლიტიკოსები, რომლებსაც კონფლიქტის ასეთი ესკალაციისა არასდროს სჯეროდათ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. დღეს სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა და, ადრე თუ გვიან, ამის გათვალისწინება მოგვიწევს.



ევროპული დიპლომატია სასოწარკვეთილი შეეცადა ფეხი აება ამერიკელებისთვის, რომლებმაც ახლახან თბილისის დასაცავად კვლავ ხმა აღიმაღლეს. ვაშინგტონი, ლონდონი და სხვა ევროპული დედაქალაქები არ მალავენ გაღიზიანებას იმ ფაქტით, რომ ევროკავშირის შემოთავაზებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ, რუსეთის არმიამ არა მხოლოდ არ დატოვა საქართველოს ორი ოკუპირებული რეგიონი, არამედ იქ სამხედრო კონტინგენტი კიდევ უფრო გაზარდა (ჯარისკაცების საერთო რაოდენობა 7 000-ს აღწევს). ინტერნაციონალური საკითხების ექსპერტთათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ომის მიზეზი გახდა არა მხოლოდ რეგიონალური პოლიტიკა, არამედ გავლენის სფეროებისთვის საერთაშორისო ბრძოლა ორ მსოფლიო სუპერსახელმწიფოს (აშშ და რუსეთი) და მათ მოკავშირეებს შორის.

დღეს ჩვენს წინაშე მოუგვარებელი პრობლემაა და სხვა არაფერი დაგვრჩა თუ არა, ყურადღებით დავაკვირდეთ საერთაშორისო დიპლომატიის ნაბიჯებს. დღეს, ისე როგორც არასდროს საჭიროა გადაწყვეტილების პოვნა, რათა თავი ავარიდოთ პრობლემის გამწვავებას, რომელმაც შეიძლება კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მთელი ევროპული კონტინენტის უსაფრთხოება.

l'Occidentale

## საქართველო ევროკავშირს:

# ნუ დატოვებთ უყურადღებოდ აღმოსავლეთის სამეზობლოს

**ევროკავშირი სწრაფად უნდა წავიდეს წინ საქართველოსთან, უკრაინასთან და მოლდოვასთან თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით, მით უფრო რომ ეს პოლიტიკა დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს და შეიძლება ეკონომიკური პრობლემების დროს განხორციელდეს, როდესაც დაფინანსების პრიორიტეტები სამხრეთ სამეზობლოსკენ ინაცვლებს, — განაცხადა ქართველმა მინისტრმა**

„ცხადია, რომ მეზობლები აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თავად ევროკავშირის ინტერესებშია ევროპის გადაქცევა ერთიან და თავისუფალ სივრცედ. და ეს ვერ მოხდება, თუ საქმეს ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში ბოლომდე არ მივიყვანთ“, — უთხრა EU-observer-ს გიორგი ბარამიძემ, ქართველმა მინისტრმა, რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობებზე.

სააღდგომო არდადეგებამდე ბრიუსელში ვიზიტის შემდეგ ბარამიძემ განაცხადა, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას დაპირდნენ თავისუფალი სავიზო რეჟიმის „სამოქმედო გეგმის“ დაწესებას და იმას, რომ დაიწყება მოლაპარაკება „ღრმა და ყოვლისმომცველი“ თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შემოღებაზე, რაც არ მოითხოვს დიდ დაფინანსებას.

ევროკავშირი, დემოკრატიული ამბოხებების საპასუხოდ, ხელახლა განიხილავს სამხრეთ სამეზობლოს დაფინანსების სტრატეგიას. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანას ძალიან მკაცრი ბიუჯეტები აქვთ და ერთობ სავარაუდოა, რომ ეს ფაქტი ევროკავშირის მომავალი წლის ბიუჯეტშიც აისახება, ქართველი ოფიციალური პირი აღიარებს, რომ მისი რეგიონისთვის დიდი დაფინანსების მოპოვების პერსპექტივა სუსტია.

უკრაინამ უკვე დაიწყო მოლაპარაკება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ე.წ. სამოქმედო გეგმაზე. საქართველოც ცდილობს წლის ბოლომდე იგივე მოახერხოს, — აღნიშნა მინისტრმა.

მინისტრის თქმით, მისი ქვეყანა ერთადერთია რეგიონში, რომელსაც „სასაზღვრო მენეჯმენტის კონსოლიდირებული და ინტეგრირებული სისტემა“ აქვს და უკვე დაიწყო ბიომეტრიული პასპორტების გაცემა, რაც თავისუფალი სავიზო რეჟიმის მიღების წინაპირობაა. ის, რომ ქვეყანა პატარაა და არა აქვს საერთო სახმელეთო საზღვრები ევროკავშირთან, ასევე შეიძლება უპირატესობად განვიხილოთ, — შენიშნა მან.

იმის გამო, რომ მოსკოვიც ასევე სთხოვს ევროკავშირს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას და ამ მცდელობაში მას „რამდენიმე მნიშვნელოვანი წევრი-ქვეყანა“ უჭერს მხარს, ბარამიძე ხაზგასმით აღნიშნავს: არ იქნებოდა სწორი, თუ საქართველო ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა აღმოსავლეთ სამეზობლოდან უვიზო რეჟიმს რუსეთის შემდეგ მიიღებს.

მას შემდეგ, რაც 2008 წელს სეპარატისტული რეგიონების, სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის გამო ომი მოხდა და რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა, მოსკოვმა ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა.

„სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი რუსეთის ფაქტობრივ კონტროლს ექვემდებარებიან, რაც იქ რუსული სამხედრო შენაერთებისა და ჯაშუშების უკანონო დისლოცირებითაა მანიფესტირებული, მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს ჩვენი ვალდებულებები — ეს ჩვენი რეგიონებია და იქ მცხოვრები ხალხი ჩვენი ხალხია“, — განაცხადა ბარამიძემ.

შეუიარაღებელი მისია, ე.წ. ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია (EUMM), ომიდან სამი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ მუშაობს საქართველოში, მაგრამ რუსეთი მათ ორ რეგიონში ისევ უკრძალავს შესვლას.



„მისიის მნიშვნელობა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვასა და უსაფრთხოებაზე მომუშავე ერთადერთი საერთაშორისო მისიაა საქართველოში, ისაა, რომ ის წარმოადგენს ერთგვარ დამცავ ფარს რუსეთის შემდგომი აგრესიის აღსაკვეთად“, — განაცხადა მინისტრმა.

„ევროკავშირმა უფრო მეტი ზემოქმედება მოახდინოს რუსეთზე, რადგან რუსები ევროკავშირის შუამავლობით დადებულ საზავო შეთანხმებას ძალზე ცინიკურად იგდებენ აბუჩად. ჩვენ მხოლოდ იმას ვითხოვთ, რომ რეალობა ობიექტურად იყოს ასახული. ჯაშუშს ჯაშუში უნდა ეწოდოს, ოკუპაციას — ოკუპაცია, ეთნიკურ წმენდას — ეთნიკური წმენდა“, — განაცხადა მან.

გაერთიანებული შეხვედრა რუსეთის მთავრობასა და ევროკავშირის კომისიას შორის თებერვალში, რომელიც მხოლოდ ჩინეთის ხელისუფლებასთან მსგავს სესიას შეედრებოდა, ისეთი ფორმატია და რომელშიც საქართველოს მთავრობა ჯერ არ განიხილება.

„ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ევროკავშირისთვის მიმზიდველი მხოლოდ დიდი ქვეყნებია, გაფართოების წლებმა საპირისპირო დაადასტურა — მაგრამ ჩვენ გვესმის ვინ ვართ, გვინდა რეალისტები ვიყოთ და მაქსიმალურად თავდაუზოგავად ვიმუშავოთ“, — განაცხადა ქართველმა მინისტრმა.

როდესაც ვკითხეთ, რის თქმას ურჩევდა კომისიის ხელმძღვანელს ხოსე მანუელ ბაროზოს რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან ნებისმიერ მომავალ შეხვედრაზე საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, მან გვითხრა:

„მე ვფიქრობ, ევროკავშირს საკმაოდ კომპეტენტური ხელმძღვანელობა ჰყავს და მათ იციან როგორ ილაპარაკონ სწორად, როგორ უთხრან რთული რამ რთულ პარტნიორს. პრობლემის აღიარების გარეშე, ჩვენ მას ვერ გადავჭრით. ჩვენ გვესმის, რომ ამას დრო დასჭირდება და ჩვენ მოთმინებისთვის მზად ვართ“.

euobserver.com

## დედამიწის ზურგზე



**დააპატიმრეს ირანის პრეზიდენტის თანამებრძოლები ქვეყნის ჯადოსნობით მართვის გამო**

ამ დროს აიათოლა ჰამენეი შეედავა პრეზიდენტს ხელისუფლებისა და ღვთისმეტყველების შესახებ. ირანის სულიერი ლიდერი უკმაყოფილოა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურით: ის მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს არ აქვს უფლება მისი თანხმობის გარეშე გაათავისუფლოს მინისტრები, აგრეთვე იწინასწარმეტყველოს წინასწარმეტყველ მაჰდის აღდგომის შესახებ.

**შვეიცარიაში დააპატიმრეს იმ რუსეთელი ჩინოვნიკების ანგარიშები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ აფიორაში ხუთზე მეტი მილიარდი დოლარის ოდენობით**



იმ ხალხის ანგარიშების დაპატიმრების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ „მაგნიტსკის საქმეში“, იტყობინება ერთ-ერთი საინვესტიციო ფონდი ამერიკის ჟურნალ „ბერონსზე“ მითითებით. მის სტატიაში ნათქვამია, რომ ანგარიშები გაყინულია ბანკში „კრედიტ საისი“. რუსეთში გვარწმუნებენ, რომ მაგნიტსკის საქმესთან დაკავშირებულ ძალოვნებს შვეიცარიის ბანკებში ანგარიშები არ გააჩნიათ.



**„ვიკილიკსი“: აშშ გაეროში არ უშვებს მისთვის არახელსაყრელ პოლიტიკოსებს და დიპლომატებს**

ბევრი ქვეყნის დიდი ხნის ეჭვი ამასთან დაკავშირებით გამართლდა გაეროსთან ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის სასამსახურო დეპეშის წყალობით, რომელიც გამოაქვეყნა „ვიკილიკსმა“.

**იაპონიაში მიწისძვრებისა და ცუნამების მსხვერპლთა რიცხვმა 14,8 ათას კაცს გადააჭარბა**

12 დაზარალებულ პრეფექტურაში დაღუპულთა საერთო რიცხვი 14817 კაცს შეადგენს, უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში კი 10171 კაცი ირიცხება. დაიჭრა 5279 კაცი. დაღუპულთა დაახლოებით 92 პროცენტი გახდა მსხვერპლი ტალღებისა, რომელთა სიმაღლეც ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ზოგიერთ მონაკვეთზე 39 მეტრს აღწევდა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს



### 7 მაისი, შაბათი

I არხი
12.15 მხ. ფილმი „ამაზონის განძი“
14.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. არმია – ენერჯი (პირდ.ძ
17.30 ძიუდო. გრან-პრი, ფინალები
19.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
01.00 მხ. ფილმი „მეწამული მდინარეები“

II არხი
20.00 ფილმი „ლოს-ანჯელესის სპეცრაზმი“
22.20 კონცერტი: მ. სეფაშვილი
00.40 მხ. ფილმი „სატყუარა“

რუსთავი-2
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი
15.30 ქართ. მხ. ფილმი
19.50 სერიალი „ელენეს მოჩენება“
23.00 ქართ. სერიალი „დეტექტივები“
00.00 მხ. ფილმი
02.30 მხ. ფილმი „ლენინი“

იმედი
11.45, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
12.35 სერიალი „როცა სიყვარული მოდის“
16.00 სერიალი „მეტოქეები“
17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
18.40 სერიალი „როცა სიყვარული მოდის“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
23.45 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი
01.15 სერიალი „შუამავალი“ (1-ლი სერ.ძ
02.15 მხ. ფილმი „აგვისტო“ (სუბტიტრ.ძ
04.35 მხ. ფილმი „ვარსკვლავის დაბადება“ (სუბტირ.ძ
07.15 სერიალი „ბოშები“

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა და რივომბროზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
21.00 მხ. ფილმი „გაუხსნელი საქმე“
23.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)

აჭარა
09.30, 23.00 სერ. „კეთილშობილი თაღლითები“
12.30, 21.00 სერიალი „ჩემი მიწა“
13.15 სერიალი „დიდი გასეირნება“
16.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი“
19.30 სერიალი „სალომეა“
00.00 მხ. ფილმი

საქართველო
12.00 მხ. ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი: ბეჭდების საძმო“
15.25 მხ. ფილმი „მეხუთე განზომილება“
17.35 მხ. ფილმი „ 10 ათასი წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე“
22.15 მხ. ფილმი „არმაგედონი“
01.00 მხ. ფილმი „ბრუკლინელი პოლიციელები“

რეგიონი TV – ალანია
12.05 მხ. ფილმი „ათი იარდი“
13.45 მხ. ფილმი „ჩარლის ანგელოზები“
15.25. 02.05 მხ. ფილმი „მეღვინეთა წესები“
18.05 მხ. ფილმი „ყველაზე საყვარელი“
20.45 მხ. ფილმი „ფაკერებთან ნაცნობობა“
22.40 მხ. ფილმი „შავი გედი“
00.30 მხ. ფილმი „უდავო 3“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „უცხო მტაცებლის წინააღმდეგ“
12.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“
14.00 მხ. ფილმი „ხმალთევზა“
16.00 მხ. ფილმი „ჩარლის ანგელოზები 2“
18.00 მხ. ფილმი „შეშლილთა კუნძული“
20.00 მხ. ფილმი „მოწყალების კვანტი“
22.00 მხ. ფილმი „შიშველი იარაღი 2“
24.00 მხ. ფილმი „ბინდი. საგა – ახალი მთვარე“
02.00 მხ. ფილმი „პანამელი თერძი“

GMG კინოგურმანი
09.30 მხ. ფილმი „ჩემი იასამნისფერი ღამეები“
11.30 მხ. ფილმი „კაცი, რომელიც არ იყო“
13.30 მხ. ფილმი „ჯეკი ბრაუნი“
16.00 მხ. ფილმი „ჩვეულებრივი სისხლი“
17.30 მხ. ფილმი „ჯეინ ოსტინი“
19.30 მხ. ფილმი „კრიმინალური საკითხები“
22.00 მხ. ფილმი „ბალეების ქვეყანა“
24.00 მხ. ფილმი „სად ხარ ჩემო ძმაო?“
01.30 მხ. ფილმი „ოთხი ოთახი“

GMG ნოველა
08.00,12.00,16.00, 20.00 „ანხელის საიდუმლო“
09.00,13.00,17.00, 21.00 „ღალატი“
13.00,14.00,18.00, 22.00 „ცოდვის ტვირთი“
11.00,15.00,19.00, 23.00 „ველური გული“

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „მხიარული რომანი“
19.35 მხ. ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“
23.05. მხ. ფილმი „აპრილი“
01.45 კონცერტი. ლუჩანო პავაროტი

### 8 მაისი, კვირა

I არხი
12.15 მხ. ფილმი „ომის ნისლი“
17.00 ფეხბურთი. საქ. ჩემპიონატი. კოლხეთი – ზესტაფონი
19.00 ძიუდო. გრან-პრი. ფინალები
22.00 კონცერტი. სალომე დე ბაია
01.00 მხ. ფილმი „რამდენიმე კარგი ბიჭი“

II არხი
21.30 მხ. ფილმი „ამაზონის განძი“
23.05 კონცერტი. გ. საღარაძის საღამო
00.35 მხ. ფილმი „მეწამული მდინარეები“

რუსთავი 2
11.30 მხ. ფილმი „მხიარული ფერმა“
13.30 მხ. ფილმი „ბინგო-ბონგო“
15.20 სერიალი „სიამაყე“
23.00 ქართული სერიალი „დეტექტივები“
00.00 მხ. ფილმი
02.20 მხ. ფილმი „სანამ შენ გეძინა“

იმედი
08.40 მხ. ფილმი „მეხათმტყორცნელი“
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
12.35. სერ. „ჰანა მონტანა“
19.05. ქართ. სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
01.15 სერიალი „შუამავალი“
02.15 მხ. ფილმი „ადრენალინი“
04.10 მხ. ფილმი „კეთილი ჯონი“ (სუბტ.)
06.30 სერიალი „ბოშები“

მზე
08.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა დი რივომბროზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
23.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)
00.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „კეთილშობილი თაღლითები“
13.00, 21.00 სერიალი „ჩემი მიწა“
18.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი“
19.30 სერიალი „სალომეა“
00.00 მხ. ფილმი

საქართველო
12.00 მხ. ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი: ორი ციხესიმაგრე“
16.00 მხ. ფილმი „მეცამეტე მეომარი“
17.50 მხ. ფილმი „აგენტი 007: მოწყალების კვანტი“
19.50 მხ. ფილმი „დონი ბრასკო“
22.15 მხ. ფილმი „ალისფერი ზღვა“
00.40 მხ. ფილმი „შავი ხვრელი“

რეგიონი TV – ალანია
12.45 მხ. ფილმი „ერთხელ ვეგასში“
14.20 მხ. ფილმი „შეშლილი სპეცნაზი“
15.50 მხ. ფილმი „დიდი თამაში“
18.40 მხ. ფილმი „ფილმი ჩემი მონაწილეობით“
21.15 მხ. ფილმი „პირველი რაინდი“
23.45 მხ. ფილმი „ლარგო ვინჩი 2: შეთქმულება ბირმაში“
01.40 მხ. ფილმი „ცოცხალს ნუ აიყვანთ“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „შიშველი იარაღი 2“
12.00 მხ. ფილმი „პანამელი თერძი“
14.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“
16.00 მხ. ფილმი „ხმალთევზა“
18.00 მხ. ფილმი „ჩარლის ანგელოზები 2“
20.00 მხ. ფილმი „არწივის თვალი“
22.00. მხ. ფილმი „უცხო მტაცებლის წინააღმდეგ“
00.00 მხ. ფილმი „მოწყალების კვანტი“
02.00 მხ. ფილმი „ბინდი. საგა – ახალი მთვარე“

GMG კინოგურმანი
09.30 მხ. ფილმი „ბალეების ქვეყანა“
11.30 მხ. ფილმი „ოთხი ოთახი“
13.30 მხ. ფილმი „კაცი, რომელიც არ იყო“
15.30 მხ. ფილმი „ჯეკი ბრაუნი“
18.00 მხ. ფილმი „ჩვეულებრივი სისხლი“
19.30 მხ ფილმი „დიდი ლებოვსკი“
21.30 მხ.ფილმი „ჩემი იასამნისფერი ღამეები“
23.30 მხ. ფილმი „კრიმინალური საკითხები“
02.00 მხ. ფილმი „სადა ხარ ძმაო“?

GMG TV-ნოველა
08.00,12.00,16.00, 20.00 „ანხელის საიდუმლო“
09.00,13.00,17.00, 21.00 „ღალატი“
10.00,14.00,18.00, 22.00 „ცოდვის ტვირთი“
11.00,15.00,19.00, 23.00 „ველური გული“

ერთსულოვნება
10.35 მოკლემეტრ. ფილმი „;აპრილი“
12.15. მხ. ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“
19.25 მხ. ფილმი „სიბრნე სიცრუისა“
00.40 ოპერა

### 9 მაისი, ორშაბათი

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ხუთი და“
00.30 მხ. ფილმი „შიშის ოთახი“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „ნაციონალური უსაფრთხოება“
01.00 მხ. ფილმი „რამდენიმე კარგი ბიჭი“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „ცოდვილი“
11.00 სერიალი „მიმწყვდეული“
17.00 სერიალი „მორენას ვნება“
18.45 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „ელენეს მოჩვენება“
22.00 ნიჭიერი (პირდ.)
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“
11.00, 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
12.00, 21.00 „გაუხსნელი საქმე“
13.00 მხ. ფილმი
15.20 სერიალი „ორნახევარი კაცი“
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა“
22.00 მხ. ფილმი
00.00 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „ლამაზი სიცოცხლე“
11.30, 17.40 სერიალი „სიყვარულის ზღვა“
14.40 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი
16.00 სერიალი „მეტოქეები“
18.40 სერიალი „როცა სიყვარული მოდის“
21.00 ქალბატონი
01.55 მხ. ფილმი „კონტროლი“ (სუბტიტრ.ძ
06.30 სერიალი „ბოშები“

აჭარა
09.30, 23.00 სერიალი „პეტერბურგის საიდუმლოებანი“
11.50, 21.00 სერიალი „ჩემი მიწა“
12.30, 19.30 სერიალი „სალომეა“
16.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირი“
00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.05. მხ. ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“
13.30 კონცერტი: ანსამბლი „თბილისი“
15.05 სპექტაკლი „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“
19.15 მხ. ფილმი „ღიმილის ბიჭები“

საქართველო
09.10,12.15 სერიალი „ენ სი აი ეს“
13.10 მხ. ფილმი „მისია“
15.30 მხ. ფილმი „გზა“
17.35 სერიალი „პანიკა ჰაერში“
19.20 მხ. ფილმი „სტალინგრადი“
22.00 მხ. ფილმი „მეომრები“
00.05 მხ. ფილმი „ წითელი განთიადი“

GMG ჰოლივუდი
10.00 მხ. ფილმი „ფორსაჟი“
12.00 მხ. ფილმი „ბინდი. საგა – ახალი მთვარე“
14.00 მხ. ფილმი „გაქცევა“
16.00 მხ. ფილმი „ეშმას აცვია „პრადა“
18.00 მხ. ფილმი „ხმალთევზა“
20.00 მხ. ფილმი „მგელკაცი“
22.00. მხ. ფილმი „წითელი დრაკონი“
00.00 მხ. ფილმი „არწივის თვალი“
02.00 მხ. ფილმი „მოწყალების კვანტი“

GMG კინოგურმანი
09.30 მხ. ფილმი „არიზონული ოცნება“
12.00 მხ. ფილმი „დიდი ლებოვსკი“
14.00 ფილმი „სადა ხარ ძმაო?“
16.00 მხ. ფილმი „ოთხი ოთახი“
19.30 მხ. ფილმი „კაცი, რომელიც არ იყო“
21.30 მხ. ფილმი „გოლდფინგერი“
23.30 მხ. ფილმი „ჩვეულებრივი სისხლი“
01.15 მხ. ფილმი „კრიმინალური საკითხავი“

GMG TV-ნოველა
08.00,12.00,16.00, 20.00 „ანხელის საიდუმლო“
09.00,13.00,17.00, 21.00 „ღალატი“
10.00,14.00,18.00, 22.00 „ცოდვის ტვირთი“
11.00,15.00,19.00, 23.00 „ველური გული“

რეგიონი TV – ალანია
09.45, 19.45 სერიალი „ჯაშუში ქალი 2“
11.45 მხ. ფილმი „ცოცხალს ნუ აიყვანთ“
13.35 მხ. ფილმი „კატინი“
16.00 მხ. ფილმი „შინდლერის სია“
18.00 მზ. ფილმი „ფილმი ჩემი მონაწილეობით“
22.05 მხ. ფილმი „ოპერაცია „ვალკირია“
00.30 მხ. ფილმი „პატრიოტი“



სად წავიდეთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

### 7 მაისი, 2011 წ.

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
13:00 - „რიო“ 3D - (7-8 ლარიძ
15:00 - „რიო“ 3D - (8-9 ლარიძ
17:30 - „ფორსაჟი 5“ - (9-10 ლარიძ
20:00 - „ფორსაჟი 5“ - (10-11 ლარიძ
22:15 - „ფორსაჟი 5“ - (10-11 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 2ძ
12:00 - „კივილი 4“ - (6 ლარიძ
14:00 - „კივილი 4“ - (7 ლარიძ
16:00 - „კივილი 4“ - (8 ლარიძ
18:00 - „კივილი 4“ - (9 ლარიძ
20:00 - „კივილი 4“ - (10 ლარიძ
22:15 - „კივილი 4“ - (10 ლარიძ
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზიძ
12:30 - „რიო“ 3D - (7-8 ლარიძ
14:00 - „ფორსაჟი 5“ - (9-10 ლარიძ
16:30 - „ფორსაჟი 5“ - (9-10 ლარიძ
19:30 - „ფორსაჟი 5“ - (10-11 ლარიძ
22:00 - „ფორსაჟი 5“ - (10-11 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზიძ
12:15 - „რენე მიდის ჰოლივუდში“ - (6 ლარიძ
14:15 - „დაბადებულები საქართველოში“ - (7 ლარიძ
16:15 - „დაბადებულები საქართველოში“ - (8 ლარიძ
18:15 - „რენე მიდის ჰოლივუდში“ - (9 ლარიძ
20:15 - „რენე მიდის ჰოლივუდში“ - (10 ლარიძ
22:15 - „რენე მიდის ჰოლივუდში“ - (10 ლარიძ
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55



კინოთეატრი „საქართველო“
12:00 - „რიო“ 3D - (6 ლარიძ
14:00 - „რიო“ 3D - (7 ლარიძ
16:00 - „ფორსაჟი 5“ - (9 ლარიძ
18:15 - „ფორსაჟი 5“ - (9 ლარიძ
20:15 - „ფორსაჟი 5“ - (10 ლარიძ
22:15 - „ფორსაჟი 5“ - (10 ლარიძ
გურამიშვილის გამზ. 2/9, ტელ: 30-80-80; 69-66-47

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 - „ნადირობის სეზონი“ პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 - „დეკამერონი“ - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „კომანის გულწითელა, თეთრი მტრედი“ - პრემიერა (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრიძ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 - „თაფლობის თვე“ - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
20:00 - „მაკბეთი“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარიძ აღმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

გაბრიაძის თეატრი
19:15 - „სტალინგრადის ბრძოლა“ (რუსულ ენაზეძ (12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 868 78-18-97

გრიბოედოვის თეატრი
18:00 - „ქორწინება“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
19:00 - „ძრავა“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ახმეტელის თეატრი
19:00 - „ნათელი ბნელში“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „კოლობოკი“
15:00 - „ალისფერი ყვავილი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27

◉ ჭადრაკი

# დღეს საათებს ჩართავენ



**გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა ევროპის მე-12 ჩემპიონატი, რომელშიც 26 ქვეყნის 134 მანდილოსანი მონაწილეობს (მათ შორის საქართველოდან – 46). ტურნირის ფავორიტები არიან მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონები – ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ევროპის ორგზის ჩემპიონები:** ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), კატერინა ლახნო (უკრაინა), პია კრამლინგი (შვედეთი), ბათუმში ევროპის პირველი ჩემპიონატის გამარჯვებული ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ფიდეს ქალთა გრანპრის თითო ეტაპის პირველადგილოსნები – ნანა ძაგნიძე (საქართველო) და ელინა დანიელიანი (სომხეთი), მსოფლიოს რეიტინგის პირველი ათეულის წევრები – ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) და ანა მუზიჩუკი (სლოვენია).

შეჯიბრებაზე (ტურნირის დირექტორი გია გიორგაძე, მთავარი მსაჯი ნანა ალექსანდრია) 11 ტური გათამაშდება. გამარჯვებული 20 ათასი ევროთი დაჯილდოვდება, საერთო საპრიზო თანხა კი ქალთა ჩემპიონატებისთვის სარეკორდოა – 110 000 ევრო.

ახლა კი წლების მიხედვით წინა ტურნირების გამარჯვებულთა ვინაობას გაგაცნობთ: ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 2000 წ.), ელმირა სკრიპჩენკო (მოლდოვა, 2001), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2002), პია კრამლინგი (შვედეთი, 2003), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2004), კატერინა ლახნო (უკრაინა, 2005), ეკატერინა ატალიკი (თურქეთი, 2006), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2007), კატერინა ლახნო (უკრაინა, 2008), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2009), პია კრამლინგი (შვედეთი, 2010), თბილისი, 2011 – ?

**ყველა პარტია – ყაიმით**

**ყაზანში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მეოთხედფინალური მატჩების პირველი პარტიები, რომლებიც ყაიმით დამთავრდა: რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) – კრამნიკი (რუსეთი), არონიანი (სომხეთი) – გრიშჩუკი (რუსეთი), კამსკი (აშშ) – ტოპალოვი (ბულგარეთი), მამედიაროვი (აზერბაიჯანი) – გელფანდი (ისრაელი).**

**ლაშა დიდია**

◉ ჩოგბურთი

# ფედერაციის თასზე



**ეგვიპტის დედაქალაქში ჩოგბურთელ ქალთა შვიდი ნაკრები ფედერაციის თასზე ევრო-აფრიკული ზონის მე-2 ჯგუფში ზედა ეშელონის ორი საგზურისთვის იბრძვის.** პირველ ტურში ქართველმა ქალებმა სომხებს აჯობეს 2:1. თათია მიქაძემ ოფელია პოღოსიანს სძლია – 6:1, 6:1, სოფიო შაფათავამ ანი ამირალიანთან წააგო – 4:6, 4:6, ხოლო წყვილებში მიქაძე – ეკა გორგოძის დუეტმა ამირალიანი და პოღოსიანი დაამარცხა. ამავე დღეს ჩვენს ჯგუფში ბოსნიის ნაკრებმა მშრალი ანგარიშით თურქეთი დაჯაბნა – 3:0. ბოსნიელებმა მე-2 ტურში ჩვენებსაც სძლიეს – 2:1 (ეკა გორგოძე – მერვანა იუგიჩ-სალკიჩი 2:6, 2:6, თათია მიქაძე – იასმინა ტინჯიჩი 2:6, 0:6, სოფიო შაფათავა, მიქაძე – ემა ბურგიჩი, იასმინა კაიტაზოვიჩი 4:6, 6:1, 6:3), თურქებმა კი სომხებს დააყრევინეს ფარ-ხმალი 3:0. ამდენად, ორი ტურის შემდეგ ბოსნიელებმა ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მე-2 საგზურის მფლობელი საქართველო-თურქეთის მატჩში გაირკვევა.

**გივი გაგუა**

◉ რაგბი

# „ლოკომოტივს“ წითელი „აიამაც“ აუნთო



**ავჭალის ხელოვნურსაფარიან სტადიონზე მორაგბეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-4 ტურის მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „აია“.** სტუმრებმა ამჯერადაც ჩინებულად ითამაშეს და ქვეყნის ჩემპიონს წლევანდელ პირველობაში მეორე მარცხი აგემეს – 21:18, თავად კი გათამაშების ცხრილში ზედიზედ მე-4 გამარჯვება ჩაიწერეს. საგულისხმოა, რომ ორივე გუნდმა ქულები მხოლოდ საჯარიმოებით მოაგროვა.

**დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:** „ლელო“ – „ყოჩები“ 36:20, „არმაზი“ – „ხარები“ 9:5, „არმია“ – „აკადემია“ 22:22.

**სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ:** „აია“ – 8 (113:37), „ლელო“ – 6 (120:74), „არმია“ – 5 (85:86), „ლოკომოტივი“ – 4 (96:81), „არმაზი“ – 4 (70:95), „აკადემია“ – 3 (63:80), „ხარები“ – 2 (44:86), „ყოჩები“ – 0 (69:121) ქულა.

**ლექსო ცინცაძე**

◉ კალათბურთი

# დარჩა ერთი უცნობი

**საოცარი ფაქტი მოხდა რუსთავში, სადაც სუპერლიგის პლეი-ოფის საპასუხო მატჩის დასკვნითი პერიოდი „არმიამ“ 36:5(!) მოუგო „ენერჯი ინვესტს“.** ამ გაჯეჯილებამ ფავორიტს შეხვედრაშიც გაამარჯვებინა 83:56 და სერიაშიც – 2:0. **ყველაზე შედეგიანები:** ტუღუში – 22 ქულა, შარაბიძე – 21 ქულა („არმია“), ლამუ (20 ქულა) – („ენერჯი ინვესტი“).

კლუბის დებიუტანტის ფაცაციას ბრწყინვალე თამაშმა – 22 ქულა, 9 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა – „სოხუმს“ საშუალება მისცა რევანში აეღო შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდთან – 78:70 (1:1). ამ მეტოქეთა დამატებითი მატჩი დღეს სპორტის სასახლეში 14 საათზე დაიწყება.

**დანარჩენი შედეგები:** თსუ – სტუ 97:89 (2:0), „ქუთაისი“ – „სამედიცინო“ 83:75 (2:0).

**გიორგი შოთაძე**

◉ გამოსათხოვარი

# მშვიდობით, დიდო კაცო!



უაღრესად სამწუხარო ამბავი მოვიდა შორეული შვედეთის დედაქალაქიდან. ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირის დასრულებისას, სადაც ჩვენი ქვეყნის გუნდებიც გამოდიოდნენ, მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ლეგენდა, უბრწყინვალესი პიროვნება, დიდი სპორტსმენი სერგო კოტრიკაძე.

თბილისის „დინამოს“ განთქმულ მეკარეთა შორის იგი გამორჩეული გახლდათ. მისი გარეგნული ხიბლი ატყვევებდა მაყურებელს და როცა ვეფხვივით მოქნილი იწყებდა ფანტასტიკურ ნახტომებს, ბურთის მოგერიებას შორი და ახლო მანძილიდან, რომლის აღება შეუძლებლად მიგვაჩნდა, თავი სიზმარში გვეგონა. მინდორზე სერგოს კომპიუტერული შეგრძნება ჰქონდა – საით უნდა წასულიყო ბურთი, მისთვის ძნელი არ იყო ამის ამოცნობა.

ულამაზესი შესახედაობის ვაჟკაცის თავდადებული თამაში გახლდათ ქვითკირი თბილისის „დინამოს“ ბრწყინვალებისა და ძლევამოსილების.

სერგო კოტრიკაძე მწვანე მინდორზე ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებდა. მისი აკრობატულობა იაფფასიანი ეფექტისთვის არ ყოფილა გამიზნული. ეს ნახტომი ერთდროულად აუცილებელიც იყო და მშვენიერიც. ამიტომაც მეკარეთა მთელი პლეადა ცდილობდა მისთვის მიებაძა.

უფროს თაობას დღესაც ახსოვს საფეხბურთო მატჩებზე ს. კოტრიკაძის გმირული შემართება, რამაც ჩვენი საყვარელი გუნდი ხშირად გადაარჩინა აშკარა წაგებას. რად ღირს, თუნდაც 1959 წელს, კიევში გამართული მატჩისას ორი პენალტის მოგერიება. მსგავსი რამ შემდგომ აღარც გამეორებულა.

სერგო კოტრიკაძე რაინდული ბუნების ადამიანი გახლდათ როგორც ცხოვრებაში, ასევე მინდორზე. ვერ მოვიგონებ ერთ შემთხვევასაც, რომ გაშვებული გოლის შემდეგ ლანძღვა-გინებით გაწეულიყო მცველებისკენ და ბურთის გაშვება მათთვის დაებრალებინა. თავის გუნდს ის ახალისებდა მხიარული შეძახილებით. როგორც მეკარე იყო სწრაფი, მოქნილი, უაღრესად ლამაზი მოთამაშე.

სერგო გახლდათ ფეხბურთის მოყვარულთა ჯილა. ჩვენი გულშემატკივრები თავის ნებიერას ათ იაშინში არ გაგიცვლიდნენ. 1962 წელს ჩილეში, მსოფლიოს პირველობაზე სსრკ ნაკრების თავკაცებს კარში სერგო კოტრიკაძე რომ დაეყენებინათ, გუნდი საპრიზო ადგილზე გავიდოდა. ეს თვით იმ დროს მოედანზე მყოფი დიდი რუსი ფეხბურთელის, გუნდის კაპიტნის იგორ ნეტოს სიტყვებია.

სერგო კოტრიკაძე უაღრესად კეთილი ადამიანი გახლდათ. ყველაზე შესტკიოდა გული და რაიმეს გალება თუ შეეძლო, არაფერს იშურებდა. თუმცა ბევრჯერ ატკინეს გული. ცხოვრებამაც დიდი გამოცდა მოუწყო ამ ღვთისნიერ კაცს. მისი ბუნებიდან გამომდინარე ის ყველაფერს უძლებდა, თუმცა...

უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა. მისი სამოცდაათი წლისთავისათვის წიგნი გამოვეცი. ამასთან დაკავშირებით ხშირად ვსტუმრობდი სასაუბროდ და ვხედავდი ეს უზარმაზარი ტკივილისა და ნაღველის კაცი როგორ ეალერსებოდა შვილიშვილებს, რძლებს. რამდენჯერ მიფიქრია, ეს მაღალი ზნეობის პიროვნება ასე რატომ უნდა დაჩაგრულიყო...

სერგო კოტრიკაძისა და მისი სახელოვანი თანაგუნდელების სამშობლოს წინაშე დამსახურება უკვდავია. იგი მომავალ თაობებს დარჩება მაგალითად იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს სპორტსმენი თავისი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

მეგობრებისა და უამრავი თაყვანისმცემლის სახელით
**დემიკო ლოლაძე.**

# წასვლა – სადაც სული ისწრაფვოდა

***...მოდიოდა თაობა, მოდიოდნენ ბიჭები, რომელთა უმრავლესობა, რამდენიმე წელიწადში, მართლაც ფეხბურთის „ვარსკვლავად“ უნდა ქცეულიყო...***

...1958 წლის სეზონი გაჭირვებით დაამთავრა „დინამომ“, სოკოლოვის ხელმძღვანელობით – 12 გუნდში მე-9 ადგილი დავიკავეთ... და აი, მოდის ლეგენდარული ანდრო ჟორდანია თავისი „ტალიკა“ ბიჭებით... უკვე 1959 წელს – მე-3 საპრიზო ადგილი...

მაღლაკის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ვარ. ცხადია, როცა დრო გვაქვს სოფლელ ბიჭებს, ბურთს დავდევთ ერთთავად, ეროსი მანჯგალაძის რეპორტაჟებს ვუსმენთ რადიოთი. ერთ დღესაც ჟურნალ „ნიანგის“ საახალწლო ნომერი ჩამივარდა ხელში, რომლის ორი გაშლილი გვერდი დათმობილი ჰქონდა თბილისის დინამოელთა იმწლევანდელ წარმატებას, ზაურ ბოლქვაძის შეხუმრებებს ლექსად და გიგლა ფირცხალავას მეგობრულ შარჟებს.

დღეს, როდესაც უფროსი თაობის ფეხბურთის გულშემატკივრებს სევდა-ნაღველი გაგვჩენია ანდრო ჟორდანიას იმ გუნდის და, საერთოდ, მეოცე საუკუნის საუკეთესო მეკარის სერგო კოტრიკაძის გარდაცვალების გამო, მე რატომღაც 1959 წლის ჟურნალი „ნიანგი“ და მასში დაბეჭდილი, დინამოელებისადმი მიძღვნილი ზაურ ბოლქვაძის ლექსები მახსენდება, რომელთაგან რამდენიმე დღემდე ჩამრჩა გონებაში. მაგალითად, მიშა მესხზე:

***„არც გარინჩა ვარ, არც პელე,***
***არც მოყმე ვეფხის ნატორი,***
***ვარ ვინმე მესხი მელექსე,***
***ბურთის პოემის ავტორი“.***

მაგალითად, თავური დარტყმების უბადლო ოსტატზე ზაურ კალოევზე, რომელიც იმ სეზონში, 16 გატანილი გოლით, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა:

***„თავს დავდებ ჩემდა თავადა***
***და დავდგამ ბურთის კალოებს,***
***რომ თაოსნობა ვერავინ***
***წამართვას ზაურ კალოევს“.***

ლექსი კოხტა, ავაზასავით მოქნილ სერგო კოტრიკაძეზე, რომელმაც საუცხოოდ ჩაატარა ის სეზონი, მაგალითად, კიევში ერთ თამაშში ორი პენალტიც კი მოიგერია, მთლიანად დამხსომებია. ჩვენს ძვირფას ზაურ ბოლქვაძეს გურულ ჰანგებზე ცნობილი სიმღერის „სიმონა დოლიძის“ მოტივზე აქვს იგი გაწყობილი:

***ჩვენი „დინამოს“ მეკარე***
***მე ვარ სერგო კოტრიკაძე,***
***ბურთს კი არა თუ გაჭირდა***
***ციდან ვარსკვლავს მოვიტაცებ.***
***ერთი პენალტი დამირტყეს,***
***ცოტა მუხლები მტკიოდა,***
***მეორეს ვერ გადვურჩები,***
***გული ასე მიჩიოდა.***
***დამირტყეს და გავხტი განზე***
***და გემოზე გევიცინე,***
***რაც დამირტყეს პენალტები,***
***სუყველაი დევიჭირე.***
***საფრანგეთში მიგვიწვიეს,***
***ახლა მივალ შორი გზაზე,***
***ჩემო ძმაო ალიოშა***
***დაამღერე გიტარაზე“.***

მაშ, ასე იყო... ნეტა იმ დროს... თითქმის წავიდა ის თაობა – „ოქროს ბიჭები“ – ჩვენი გამხარებლები... აი, სერგოც წავიდა... თავის მიშასთან, თავის სლავასთან, თავის შოთასთან, თავის გივისთან, თავის ზაურთან... თავის უფროს ძმასთან ალიოშასთან... თავის მწვრთნელთან და დამრიგებელთან ანდრო ჟორდანიასთან წავიდა... უახლოეს ადამიანებთან წავიდა... შეიძლება სულიც იქით ესწრაფვოდა...

ნათელი დაადგეს შენს სვლას სასუფეველში, ჩვენო სერგო...

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ფეხბურთი

# „ბრაგამ“ ყველას უბრაგუნა

**ევროპის ლიგის პორტუგალიური „ელ კლასიკო“ „ბენფიკა“ – „პორტუ“ ჩაიშალა, რაშიც ცოდვა ამავე ქვეყნის კიდევ ერთმა კლუბმა „ბრაგამ“ დაიდო.**

პროვინციულმა გუნდმა, რომელმაც თავის დროზე თბილისის „დინამოც“ შეარცხვინა, ფავორიტ თანამემამულეებს სტუმრად გატანილი გოლით სძლია – 1:0 (1:2).

რაც შეეხება ლუზიტანიის წლევანდელ ჩემპიონს, მან ორრაუნდიან დუელში ესპანური „ვილიარეალი“ დაჯაბნა – 2:3 (5:1).

„პორტუ“ – „ბრაგას“ ფინალს 18 მაისს დუბლინი უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ემანსიპაცია

# ხელმძღვანელობენ ქალები

**მსოფლიოს 39 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგებით, რომელიც აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია „გრანტ ტორნტონმა“ აწარმოა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი ქალების რიცხოვნობით საქართველო მეორე ადგილზეა.**



გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველოში ხელმძღვანელი თანამდებობების დაახლოებით 40 პროცენტი მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს უკავიათ. გამოკითხვის შედეგების თანახმად ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა ტაილადი, სადაც ქალბატონებს მაღალი თანამდებობების 45 პროცენტი უჭირავთ.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მათ შორის, სადაც გამოკითხვა ჩატარდა, მესამე ადგილზეა **რუსეთი** (36 პროცენტით, რომელსაც **ფილიპინები და საფრანგეთი** მოყვებიან (შესაბამისად, 35 და 21 პროცენტით.

ამასთან, საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ მთელი **მსოფლიოს მასშტაბით კომპანიათა 22 პროცენტში ხელმძღვანელი თანამდებობები ქალებს საფინანსო სექტორში უკავიათ. ამ მაჩვენებელს ოდნავ ჩამორჩება ადამიანური რესურსებით ხელმძღვანელობა (20 პროცენტით, ასევე მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორობა (9 პროცენტით.** გენერალური დირექტორებისა და კომპანიების პრეზიდენტების პოსტებიდან ქალბატონებს 8 პროცენტი ეკუთვნით.

**დალი ხუნდაძე**

ვერნისაჟი

# საგამოფენო დარბაზი „სატირული გრაფიკით“ გაიხსნა

**6 მაისიდან თბილისში, ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე გაიხსნება ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზი, წარმოდგენილი იქნება პირველი გამოფენა „სატირული გრაფიკა 1940-1950“.**

ლადო გუდიაშვილის ოჯახის ინიციატივით საცხოვრებელი ფართის ნაწილი გადაკეთდა საგამოფენო დარბაზად, სადაც ამიერიდან დამთვალიერებელს საშუალება ექნება, იხილოს ლადო გუდიაშვილის შემოქმედება.

საგამოფენო დარბაზში გუდიაშვილის ნამუშევრების ექსპოზიცია პერიოდულად განახლდება, ხოლო ამჟამინდელი გამოფენა — „სატირული გრაფიკა“, წარმოდგენილი იქნება რამდენიმე თვის მანძილზე.

საგამოფენო დარბაზი განსაკუთრებულ მადლობას უხდის თბილისის მერიას, კულტურის სამინისტროს, TBC ბანკსა და IDS ბორჯომს ამ პროექტის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**

ჩვენი კარაბადინი

# ტაქტიკა ასთმიან ავადმყოფთათვის

**იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ასთმა აწუხებს, მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში სწრაფად იზრდება. თანამედროვე მედიცინამ დიდი გამოცდილება დააგროვა ამ სახიფათო დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად, და სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები გვთავაზობენ თავიანთ მიდგომას ამ პრობლემის გადასაჭრელად.**



## სახიფათო ნიშნები

**პირველი, რამაც უნდა დაგაფიქროს, ეს არის ის, რომ გრძნობთ სირთულეს სუნთქვასთან დაკავშირებით. ნორმალურია, თუ ჩასუნთქვა თავისი ხანგრძლივობით ამოსუნთქვის ტოლია. თუ ეს ბალანსი ირღვევა, ამან უნდა შეგაშფოთოთ.**

ბრონქული ასთმა შეიძლება გაჩნდეს სულის შეხუთვის პერიოდული შეტევებით. ასეთი შეტევის დროს ბრონქები მკვეთრად ვიწროვდება, რის გამოც ავადმყოფს არ შეუძლია სრულფასოვანი ამოსუნთქვა. არის ბევრი ეფექტიანი სამკურნალო საშუალება, რომლებიც სწრაფად აფართოებენ ბრონქებს. მაგრამ ასთმის მკურნალობაში მთავარია არა სულის შეხუთვის კუპირება, არამედ მისი თავიდან აცილება. და ჰორმონალური პრეპარატები შესანიშნავად უსწორდებიან ამ ამოცანას, ზემოქმედებას ახდენენ პათოლოგიური ჯაჭვის ყველა იმ რგოლზე, რომლებიც სულის შეხუთვის შეტევებს იწვევენ.

სულის შეხუთვის პირველსავე შეტევის დროს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს. ის გამოარკვევს, თუ რისგან არის გამოწვეული ასეთი რეაქცია — წამლის მიღებით, თუ რაიმე პროდუქტების მიღებით. ან იქნებ დამნაშავეა გულის უკმარისობა... სპეციალისტი განსაზღვრავს დაავადების სტადიას, შეიმუშავებს მკურნალობის სტრატეგიას და დაიწყებს ავადმყოფისთვის თვალყურის დევნებას.

## საფეხურებრივი მიდგომა

**ასთმის ერთხელ და სამუდამოდ განკურნება პრაქტიკულად შეუძლებელია. ისევე, როგორც ჰიპერტონიის, შაქრის დიაბეტისა. ეს დიაგნოზი პაციენტისგან ცხოვრების გარკვეულ წესსა და მუდმივ თვითკონტროლს მოითხოვს. მაგრამ დაავადებისადმი სწორი მიდგომის დროს შეიძლება ვიცხოვროთ აქტიურად და არაფრით გამოვირჩეოდეთ ჯანმრთელი ადამიანებისგან.**



დღეისათვის ასთმის სამკურნალოდ შემუშავებულია მკურნალობის საფეხურებრივი სქემები.

მსუბუქი ხარისხის დროს, როდესაც ასთმის სიმპტომები ვლინდება 1-2-ჯერ კვირაში, ხოლო ღამის შეტევები ხდება დაახლოებით თვეში ერთხელ, იყენებენ არაჰორმონალურ პრეპარატებს. მათ აქვთ ანთების საწინააღმდეგო ეფექტი და ახდენენ იმ მსუქანი უჯრედების მემბრანების სტაბილიზაციას, რომლებიც „იწყებენ“ ალერგიულ პროცესს. ამ სტადიაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ზოროტად არ გამოვიყენოთ ბრონქების გამაფართოებელი საშუალებები, ისეთები, როგორებიცაა, მაგალითად, ეუფილინი, თეოფილინი. დაავადების მსუბუქი ხარისხის ავადმყოფის მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს, თუ სასუნთქ გზებში დაიწყება ინფექციური პროცესი, მაშინ მას შეიძლება დაუნიშნონ საინგალაციო პრეპარატები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, მივაღწიოთ უფრო სწრაფ და გამოხატულ გაუმჯობესებას.

საშუალო სიმძიმის დაავადების დროს, როდესაც ასთმის სიმპტომები იგრძნობა თითქმის ყოველდღე, კვირაში ერთხელ კი ხდება გამწვავება, უნდა მივმართოთ ჰორმონალურ საინგალაციო პრეპარატებს. სიტყვამ „ჰორმონალური“ არ უნდა შეგვაშინოს, — სამკურნალოდ იყენებენ თანამედროვე გლუკოკორტიკოსტეროიდებს, რომლებიც პრაქტიკულად უვნებელია და არ იწვევენ შეჩვევას. ინგალაციური აპარატები საშუალებას იძლევიან გამოვიყენოთ ისინი მიზანდასახულად, წამალი ხვდება მხოლოდ ბრონქების ლორწოში და გავლენას არ ახდენს მთელ ორგანიზმზე, ასე რომ თანმხლები ეფექტები მინიმუმამდეა დაყვანილი.

დაავადების მძიმე ხარისხის დროს, როდესაც ხშირია ასთმის ღამის შეტევები, ავადმყოფების ამ თერაპიას უნდა დავუმატოთ გლუკოკორტიკოსტეროიდები აბებში, ჩვეულებრივად დღეში ერთხელ. აქ საუბარია არჩევანზე პაციენტის სიცოცხლესა და პრეპარატების თანმხლებ მოქმედებას შორის.

ყველა ამ სქემის დამატებაა ავადმყოფის მუდმივი კონტროლი თავის მდგომარეობაზე — ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიჩქარის გაზომვა, სამკურნალო საშუალებების მიღებისა და მათზე რეაქციების დღიურის წარმოება.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების მორიგ საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2011 წლის 1 ივნისს, 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ-ში, საზოგადოების ოფისში. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2011 წლის 6 მაისი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის საბოლოო შედეგების განხილვა;
2. მოგების განაწილების საკითხი;
3. აუდიტორის არჩევა.

საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, მდებარე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა.



**აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები ღრმესი მწუხარებით იუწყებიან მუზეუმის ღვაწლმოსილი მუშაკის**

**ნათელა დავაძის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



**საქართველოს ეროვნული მუზეუმი მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა მუზეუმის უხუცესი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი**

**ეკატერინე გაბაშვილი.**

**ქალბატონი ეკატერინე მრავალი წლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა მუზეუმის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის განყოფილებას. სწორედ მის სახელს უკავშირდება ცნობილი გარეჯის „უდაბნოპითეკის“ აღმოჩენა.**

**ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილი კოლეგის ოჯახსა და ახლობლებს.**

სამეგრელოს მხარე

# ზუგდიდის რაიონში ცოფით მსხვილფეხა რქოსანი საქონელი დაავადდა



**სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშში მცხოვრები დარეჯან მაქაცარია-ავალიანის კუთვნილი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი დაავადებულია ცოფით და შეტყობინების წერილი და ცოფის სალიკვიდაციო ღონისძიებათა გეგმის პროექტი გაუგზავნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას. გამგეობამ კი შესაბამის სამსახურებს დაავალა ამ პროექტის შესრულება. ამ სამსახურებს შორისაა ზუგდიდის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბი. მათ დაევალათ გარეულ მტაცებელ ცხოველებში სულადობის შემცირება სათანადო სეზონურობის გათვალისწინების გარეშე. ამ კლუბის თავმჯდომარის გურამ თირქიას განმარტებით სავარაუდოდ, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი მგლებმა დაკბინეს, რამაც გამოიწვია საქონლის ცოფით დაავადება.**

**„სოფელ გრიგოლიშში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მგლები ხშირად ჩნდებიან, იყო საქონლის დაგლეჯის შემთხვევები, მაგრამ ჩვენს კლუბს საამისო სახსრები არ გააჩნია გაუმკლავდეს მგლებს. ამ მტაცებელი ნადირის ამოწყვეტას სჭირდება 10-მდე მონადირე თავისი მაძებარი ძაღლებით, ტყვია-წამლები, მანქანა, ბენზინი, საკვები. თუ იქნება სათანადო დაფინანსება ჩვენ ძალასა და ენერგიეს არ დავიშურებთ“, — გვითხრა გურამ თირქიამ.**

**ცოფის გამოვლენის საფუძველზე სოფ. გრიგოლიშში დარეჯან მაქაცარია-ავალიანის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია ცოფის კერიდან ორი კილომეტრის რადიუსში გამოცხადდა ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედოდ. არ არის გამორიცხული ამ რადიუსში მოსახლეობის მარჩენალი საქონლების იძულებით განადგურება და დაწვა მოხდეს.**

**ლადო ქირია,**

ზუგდიდი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## მეცნიერება

### კიდევ რომელი ნემსიყლაპიას გარდა?

**ამბობენ, რომ ნემსიყლაპიას თვალი იდეალური ვიდეოხელსაწყოა. კიდევ რისი გადმოღება შეგვიძლია ცხოველებისა და ქვეწარმავლებისგან?**

**ო.სტეპანოვა, ჩელიაბინსკი**

**გვიპასუხებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის გადაცემის ინსტიტუტის სენსორულ სისტემებში ინფორმაციის გადამუშავების ლაბორატორიის უფროსი მეცნიერმუშაკი ოლეგ ორლოვი:**



— ხალხი უძველესი დროიდან იყენებს ბუნების „პატენტებს“. რადიოლოკატორი შეიქმნა ღამურების ანალოგიური ორგანოს ანალოგიით. წყალქვეშა ნავები სიჩქარეს ამცირებენ დაახლოებით ისე, როგორც ამას სელაპები აკეთებენ. მაგრამ დიდ გარღვევას ტექნოლოგიებში, რომლებიც დაკავშირებულია ბუნების მიბაძვასთან, უკვე აღარ უნდა ველოდოთ. ღამის ხედვის ხელსაწყოები უკვე აჭარბებენ ბუს მხედველობას. აი ფუტკრის ორიენტაციის უნარი ჯერ კიდევ იწვევს ჩვენს შურს: მზეს კიდეც რომ ვერ ხედავდეს, ფუტკარი გრძნობს, სად არის ის. ტექნიკამ ჯერ კიდევ არ იცის ენერგიის ისე რაციონალური გამოყენება, როგორც კრაზანებმა და ფრინველებმა. კარგი იქნებოდა გვესწავლა ინფორმაციის ისე შენახვა, როგორც გენებში; ისევე ოპტიმალურად ვზარდოთ ორგანიზმი, როგორც ამას ქალისა და მამაკაცის შეერთებული უჯრედები აკეთებენ.

### როგორ გავხდეთ პოლიგლოტები?

**ინგლისურს ვსწავლობდი 9 წელიწადი – 6 სკოლაში და 3 წელი უმაღლეს სასწავლებელში. თქმა კი სულ 2-3 ფრაზისა შემიძლია, თუმცა მეხსიერება არც ისე ცუდი უნდა მქონდეს. როგორ ახერხებენ რამდენიმე ენის ცოდნას? მათ რა – ტვინი სხვაგვარად აქვთ მოწყობილი?**

**ი.გარიფულინი, როსტოვი**

**გვიპასუხებს პოლიგლოტი ვილი მელნიკოვი, რომელიც სრულყოფილად ფლობს 104 ენას:**




— არ ვფიქრობ, რომ პოლიგლოტების ტვინი რაღაც განსაკუთრებულად არის მოწყობილი. კარდინალმა ჯუზეპე მეცოფანტიმ, XIX საუკუნეში ვატიკანის ბიბლიოთეკის მცველმა, დაახლოებით 130 ენა იცოდა, მისი თანამედროვე რასმუს კრისტიან რასკი კი, დანიელი ენათმეცნიერი, შედარებითი ისტორიული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფლობდა დაახლოებით 230 ენას. ენისადმი უუნაროები არ არიან – ეს მხოლოდ მავნე სტერეოტიპია. ბევრი ჩვენგანი გაწამებულია ენის ათვისებასთან დაკავშირებით მათი შესწავლის – გრამატიკით დაწყების – უხეირო მეთოდის გამო. გაიხსენეთ ჰიპების სახელგანთქმული ლოზუნგი: ვიყოთ, როგორც ბავშვები. ბავშვები სწავლობენ ენას ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, იდეომატიკის დაგროვებით. და მხოლოდ 6-7 წლიდან იწყებენ გრამატიკის სწავლას. დიდი შეცდომაა – სიტყვების დაზეპირება. დაზეპირება ყველაფერს სპობს. არ არის საჭირო დავუწესოთ საკუთარ თავს ნორმა: დავიმახსოვრო ამდენი და ამდენი სიტყვა დღეშიო. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ენის მელოდიკის შეგრძნებას. ამისთვის დასაწყისში გარკვეული დროის განმავლობაში ვიქონიოთ ურთიერთობა ენის მცოდნესთან.

### ეს რა ახალი „წყნარი დონია“?

**გავიგე, რომ ვიქტორ ჩერნომირდინის შვილმა უკრაინაში აღმოაჩინა და გამოსცა რომელიღაც ახალი „წყნარი დონი“. რა წიგნია ეს და როგორ მოხვდა იგი მის ხელში?**

**ნ.ნეზლობინი, ვორკუტა**

**გვიპასუხებს მწერლის ქალიშვილი მარია შოლოხოვა:**




— სინამდვილეში ეს ძველი „წყნარი დონია“. ეს ხელნაწერი დაიბეჭდა უკრაინულ ენაზე ხარკოვში 1930-იანი წლების დასაწყისში, როგორც ამბობენ ხოლმე, მამის ხელნაწერი, კუპიურების გარეშე. მასში არ არის არანაირი შემდგომი შესწორებები, ის კი, რაც შემდეგ იყო ამოღებული, შენარჩუნებულია. წიგნზე მუშაობა რომ მიმდინარეობდა, ცენზორები ხელნაწერიდან იღებდნენ არა მხოლოდ სტრიქონებს, მთელ თავებსაც კი. მაგალითად, ამოღებული იყო თავი ვეშენსკის აჯანყების შესახებ. აი ეს მთლიანად შემონახული წიგნი ნახეს კიევის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში, გადათარგმნეს რუსულ ენაზე და გამოსცეს. ეს სწორედ ვ.ჩერნომირდინის ვაჟიშვილმა გააკეთა.

Аргументы и факты

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● როდესაც აინშტაინი პრინსტონში ჩავიდა, სასტიკი უარი განაცხადა, რომ პრინსტონის ტრადიციისამებრ ფაქიზად ჩაეცვა. უარი იმით დაასაბუთა, რომ ქალაქში მაინც არავინ იცნობდა. ათი წლის შემდეგ იმავე მოთხოვნაზე ისევ უარი განაცხადა მოტივით, რომ ამ ქალაქში მას მაინც ყველა ისედაც იცნობდა.

● როდესაც ფილიპე მაკედონელი სპარტის კედლებს მიუახლოვდა, სპარტელებს შეუთვალა, მე მთელი საბერძნეთი დავიპყარი, მსოფლიოში ყველაზე უკეთესი არმია მყავს, დაგვნებდით, რადგან თუ სპარტას ძალით დავიკავებ, თუ დავლეწავ მის ჭიშკარს, ტარანით გავიტან კედლებს, უმოწყალოდ გავჟლეტ მთელ მოსახლეობასო, სპარტელებმა ლაკონიურად უპასუხეს: თუ...

● პლატონის აზრით, ადრე ადამიანები ორთავიანი, ოთხფეხა და ოთხხელა არსებები იყვნენ, ახლა ჩვენ ეს ყველაფერი ორჯერ ნაკლები გვაქვს, იმიტომ, რომ ღმერთებმა ისინი მამაკაცებად და ქალებად დაყვეს.

● რიცხვების კოორდინატთა სისტემის გამოგონებისათვის საფრანგეთის მეფე ლუი III-მ რენე დეკარტს „დიდი კოორდინატორის“ ტიტული მიანიჭა.

● პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა იმდროინდელი აშშ-ის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „ილაპარაკე ალერსიანად, მაგრამ ხელთ დიდი კეტი გეჭიროს“.

● ჰენრიხ ჰაინე: „ისტორიას ქმნიან ქალები, მაგრამ ისტორია მხოლოდ მამაკაცების სახელებს იმახსოვრებს“.

● ვოლტერის აზრით: „ქალი არსებაა, რომელიც იცვამს, ლაქლაქებს და იხდის“.

● ჟან-ბატისტ მოლიერის აზრით, ქალის მთავარი საზრუნავია ის, რომ „სიყვარული აღძრას“.

● პითაგორას აზრით: „სიცოცხლე მეტისმეტად ტკბილი იქნებოდა, მასში მწარე ცრემლები რომ არ ცვიოდეს“.

● დიდი კართაგენელი მხედართმთავარ ჰანიბალის ყველა პორტრეტულ გამოსახულებას ერთი განსაკუთრებული თავისებურება აქვს, რომელიც დაკავშირებული იყო მის ნაკლთან და რის შედეგად ყველა პორტრეტი შესრულებულია პროფილში, – ჰანიბალი ცალთვალა იყო.

● „ჩემი განზრახვა, ჩამოვსულიყავი საქართველოში, ზეგარდმო მადლით იყო შთაგონებული. ეს ნაბიჯი ღმერთმა გადამადგმევინა და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს. მე ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“, – წერდა ლევ ტოლსტოი.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6575 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4470 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7299 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0637 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.4715 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0809 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0833 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5513 ლარი |



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## ანეკდოტები

— ივანიჩ, რამდენი თევზი დაიჭირე?
— ნაკლები, ვიდრე კოლიამ.
— მას რომ არაფერი დაუჭერია?
— მე ანკესიც დავკარგე.

* * *

— როგორ გამოვიყურები?
— მყარ ხუთიანზე.
— გმადლობთ.
— ასიდან...

* * *



— გაზი და ნავთობი ხალხს ეკუთვნისო, გვიმტკიცებენ, — ამბობს ივანიჩი, — ეს გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რატომ მიჰყიდის მათ ხალხი თავისსავე თავს ასე ძვირად!

* * *

საქართველოში ეკონომიკა ძირითადად ეკონომიკის ხარჯზე აკეთებენ.

* * *

— რატომ ქირაობთ თქვენი ბანკის დასაცავად, რბილად თუ ვიტყვით, არცთუ ისე ჭკვიან ხალხს?
— მათი დაჭერა მერე უფრო იოლია.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24